[illegible] პარტიის

№ 355 1918 წ. პარასკევი. ოქტომბერი 11. № 355

# სახალხო საქმე

მთავარი კომიტეტის ორგანო

ფასი 50 კაპ.

**საქართველოს ახალ-ქალაქის და ახალ-ციხის მაზრები დაუბრუნდება.—გენ. ალექსეევი მომკვდარა.—პეტროგრადში ყოფილი პრემიერ-მინისტრი ტრეპოვი დახვრიტეს.—გერმანიამ ამერიკას საზავო ნოტა უკვე გადასცა.—გერმანელებმა კამბრე დასტოვეს.**

ღრმად დამწუხრებულნი დედა დოდო ეგნატეს ასული, ძმები მიხეილ, გიორგი და დათიკო გლახუნას ძენი, დები ვარდო და კესარია, რძალი ნინო იასონის ასული გოგოტიშვილები და სიძე ირაკლი ონისიმეს ძე ღლონტი აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობართ, რომ შაბათს, ოქტომბრის 12-ს თორმეტ საათზე სოფ. ვაკიჯვარის (ოზურ. მაზრა) წმ. კვირიკეს ეკლესიაზე გადახდილ იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი ქუთაისის სათავად-აზნაურო გიმნაზიის მეექვსე კლასის მოწაფის უდროოდ დაკარგულ ჩვენი ძვირფასი

**ზაქრო გლახუნას ძე გოგოტიშვილის**

სულის მოსახსენებლად. 2019

1918—19 წლის საოპერო სეზონი **სახელმწიფო თეატრი** დირექცია ნ. ლ. ლევიცკის

პარასკევს, ოქტომბრის 11-ს, **„პიკოვაია დამა“** ოპერა 7 მოქმ. 7 სურ.

მონაწილეობენ: სკვარეცკისა, იანსხ, მოროზოვისა, ოვსიანიკოვისა, ორლოვი, ბერეზინი, ბალაბანი, ზუბარევი, დემიანენკო, ეზროვი, კურბატოვი.

დირიჟორი **სტოლერმანი.** დასაწყისი 8 საათზე.

კასა ღიაა 10—2 ს., საღამოს 6 ს. სპექტაკლის გათავებამდე.

**ანონსი:** ოქტომბრის 12-ს „მანონი“, ოქტ. 13-ს „ევგენი ონეგინი“, ოქტ. 14-ს „ჟიდოვკა“. 1332

**განცხადება**

კვირას, ოქტომბრის 13-ს, ქართულ საჩაიე „ძმურ ნუგეშში“ იმართება

**საღამო**

**საქ. სოც.-ფედ. სარ. პარტიის ტფილისის კომიტეტის ფონდის გასაძლიერებლად.**

ამ დღეს დილიდან დაუკრავს სიმებიანი ორკესტრი.

**საღამოთი გაიმართება**

**კაბარე**

იქნება ამერიკული აუქციონი და სხ.

ამ დღით საგანგებოდ იქნება მომზადებული

**ქართული სადილი.**

**ცირკი „მოდერნი“**

(ყოფილი ძმ. ეფიმოვებისა, მიხეილის ქუჩა)

დღეს, ოქტომბრის 11-ს, გაიმართება

**დიდი წარმოდგენა**

მონაწილეობენ: სამი ეშმაკი, სლასტუშინსკი, ვიქტორ და ლამო და ზინკოვსკები.

2027

ტფილისი, ოქტომბრის 11.

**საქართველო ზავის წიაღში.**

თანამედროვე ომმა საუკუნოების განმავლობაში შექმნილ ქვეყნებს შორის ეკონომიურ და კულტურულ ურთიერთობას სამარე გაუთხარა, ყველასათვის აშკარა შეიქმნა, რომ კაპიტალისტურ მსოფლიოში არა თუ პაწია ქვეყნებს, ვეებერთელა მდიდარ სახელმწიფოებსაც არ შეუძლიან ავტარხიზმის ჩარჩოში მომწყვდეულა სრული თავისებური და დამოუკიდებელი ცხოვრებით. დღეს კი ეს ჭეშმარიტება ისევ პოულობს სათანადო გამოძახილს და თუ მოვიგონებთ ვილსონის საზავო პროექტებს და ამავე დროს გერმანიის ამ პროექტისადმი დამოკიდებულობას—თამამად შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ ორივე მოპირდაპირე ქვეყანა ერთსა და იმავე ენაზე ლაპარაკობს, სადაც საპატიო ადგილი უჭირავს ერების თვით-გამორკვევას და მათში ორგანიულ თანამშრომლობის და საერთო ცხოვრების წესების აღდგენას.

ჩვენ არ ვიცით ჯერ, მართლა გახდება თუ არა ვილსონის პროექტი საფუძველი მსოფლიოში მშვიდობიანობის ჩამოგდებისა, მაგრამ ერთი რამ შეგვიძლიან ვსთქვათ: სხვა ნიადაგზე ზავი ვერ იპოვნის განსახიერებას, ქვეყნებს შორის მჭიდრო ურთიერთობა ჩამოვარდება და ამა თუ იმ ერის თუ ქვეყნის ბედი გადაწყდება არა სეპარატიულად, ეგოისტურ თვით-გამორკვევის პრინციპის მიხედვით, არამედ სხვა და სხვა სახელმწიფო ინტერესის შეგუებით ინტერნაციონალურ მასშტაბის მიხედვით.

საქართველოს ბედი საბოლოოდ გადაწყდება მსოფლიო ზავის წიაღში და ყველა სხვა სეპარატიულ ხელშეკრულობას ტრაპიზონ ბათომ-სტამბოლისას შეუძლებელია ჰქონდეს გადამჭრელი მნიშვნელობა. საქართველოს დემოკრატიას ყოველთვის ახსოვდა და ესმოდა ასეთი მდგომარეობა და მისი საშინაო და საგარეო პოლიტიკა იყო და არის დამყარებული ყველა სახელმწიფოსა და ერთან კეთილ განწყობილებასა და ძმობაზე. თვით იმ დროს, როცა საქართველომ ჩრდილოეთის ნაცვლად სამხრეთის გზით ევროპას მიაპყრო გულისყური, მაშინაც საქართველოს პარლამენტმა გამოაცხადა მუდმივი ნეიტრალიტეტი, რაიცა სავსებით ნიშნავს ყველა სახელმწიფოსთან კეთილ-განწყობილებით ცხოვრების სურვილს. ვისაც ესმის ასეთი დეკლარაციების პოლიტიკური მნიშვნელობა მისთვის ცხადია, რომ საქართველო მეგობრულად ხელს უწვდიდა გერმანიას, მაგრამ ეს არას შემთხვევაში არ ნიშნავდა საფრანგეთის რესპუბლიკის, ინგლისის ან ამერიკის მტრობას. ჩვენი დემოკრატიის მესვეურებს ისიც კარგად ახსოვდათ, თუ რას წარმოადგენდა საქართველო გეოგრაფიულად და რა მნიშვნელობა ჰქონდა მას მსოფლიოს ბუმბერაზ სახელმწიფოებისათვის. კაპიტალისტურ ევროპისათვის საქართველოს ისეთივე მნიშვნელობა აქვს ხმელეთზე, რა ღირებულებაც აქვს თუნდაც დარდანელის სრუტეს შავი ზღვის აღებ-მიცემობისათვის. საქართველო კარია აზიისაკენ, სადაც მჭიდროდ დასახლებული კულტურული ქართველობა ცხოვრობს, საიდანაც ძველი ისტორიიდან იმპერიალისტურ მიზნებს ანხორციელებდნენ მსოფლიოს დიდი სახელმწიფოებიც. ეხლაც ასეთივე მოტივი არსებობს ყველა დიდ სახელმწიფოსათვის და შეუძლებელია ეს ქვეყანა გაიხადოს რომელიმე სახელმწიფომ თავის კერძად, სხვისთვის დაიხუროს კარები და ამ კომბინაციით კი ჩამოვარდეს მეტოქეთა შორის მშვიდობიანი ცხოვრება, თვითონ გერმანიასაც ძალიან კარგად მოეხსენება ეს პირობა, ამიტომ იყო, რომ გერმანიამ სრული ნეიტრალიტეტი დაიცვა საქართველოში, რომელიც არ უწარმოებია თითქმის არც ერთ ქვეყანაში და ამნაირად საქართველოს შესახებ სთქვა: ეს ქვეყანა უნდა იყოს დამოუკიდებელი, თავისუფალი და არავის არ უნდა ჰქონდეს უპირატესობა საქართველოში. მკითხველებმა უკვე იციან, რომ ასეთი აზრი გამოსთქვა ვილსონმაც საქართველოს შესახებ და ჩვენ დარწმუნებული ვართ საქართველოს პოლიტიკა საზავო კონფერენციაზე ჩამოყალიბდება სწორედ ამ ნიადაგზე. ამნაირად საქართველოს პოლიტიკა გონივრულად ემყარებოდა ინტერნაციონალიზმის პრინციპებს, ამ პრინციპით ხელმძღვანელობდა ჩვენი დემოკრატია უკიდურეს გაჭირვების დროს და სწორედ ესავე პრინციპია დღეს რომ ყველა ერთან და სახელმწიფოსთან თავისუფლად გვათქმევინებს: საქართველო ყოველთვის ცდილობდა ზავისთვის, საგარეო და საშინაო მშვიდობიანობით ის ყველა სახელმწიფოსთან მეგობრულ განწყობილებაში იყო და მსოფლიო ზავიც— ჩვენ დარწმუნებული ვართ მხოლოდ ერთს იტყვის: თავისუფალი საქართველო უნდა განმტკიცდეს, როგორც ინტერნაციონალურ სოლიდარობის ქვეყანა, საიდანაც უნდა აილაგმოს ყველა იმპერიალისტური ქვეყანა, რომელიც დღეს მოუხეშავ ძალის გამო აქ აპირობს ბატონობას.

## უკანასკნელი ცნობები

### ახალციხის და ახალქალაქის დაბრუნება.

ტფილისში ხმებია, რომ გერმანიამ ოსმალეთი აიძულა ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულებას დასთანხმებოდა. ამ რიგად ჩვენ დაგვიბრუნდება ახალციხის და ახალქალაქის მაზრები ამ მაზრის უფროსად დაუნიშნავთ გენერალი მაყაშვილი.

**გენ. ალექსეევის გარდაცვალება**

როგორც საქართველოს სასურსათო რწმუნებული იტყობინება ჩრდილოეთ კავკასიიდან—ეკატერინოდარში გარდაცვლილა. ცნობილი გენერალი ალექსეევი.

## ზავის გარშემო

**ბერლინი.** 10—6. (მოსკოვიდან) გერმანიისა და ავსტრიის მთავრობებმა, თხოვნით მიმართეს ნეიტრალურ ქვეყნებსა და ვილსონს დაუყოვნებლივ შედგენ წინასწარი ზავის ჩამოგდებას. ყველა ფრონტზე, როგორც ხმელეთის, ისე სიზღვაო და საჰერო ფრონტზე.

**ბერლინი.** 10—7. (მოსკოვიდან). პრესა სულ ზავის შესახებ ლაპარაკობს. რეიხსტაგის სხდომაზე ახალმა კანცლერმა ვრცელი სიტყვა წარმოსთქვა საზავო წინადადების შესახებ. სხდომები რამდენიმე დღით გადაიდვა. დამოუკიდებლებმა წინაალმდეგ მისცეს ხმა. იმპერატორ ვილჰელმა მორიგი მოწოდებით მიმართა არმიასა და ფლოტს, სადაც საყვარელ სამშობლოს დაცვაზეა ლაპარაკი.

**გერმანელი პრესის ცნობა.** 10—6 (მოსკოვიდან). ოსმალეთის მთავრობამ გერმანიასა და ავსტრო-ჰუნგრეთთან ერთად მიმართა ვილსონს ისპანიის საშუალებით.

**გერმანული პრესის ცნობა.**

**ლონდონი** 10—9. „დეილი-მეილი“ სწერს: „გერმანიას (პრუსიას) და ავსტრიას ისე უნდა მოვეპყრათ, როგორც ბულგარეთს. თუ გერმანელი ხალხი გულწრფელია და უნდა იცოდეს, რა გარანტიებს მოვითხოვთ, მათ ეს შეუძლიათ ორი სიტყვით გამოსთქვან: „უეჭველი კაპიტულიაცია“.

**ამსტერდამი.** ლონდონიდან იტყობინებიან, რომ საზოგადოებრივი აზრი ამერიკაში და ლონდონში წინასწარი ზავის სასარგებლოდ არ იხრება.

**ვაშინგტონი.** შვეიცარიის ელჩმა პირადად გადასცა ვილსონზე გერმანიის ნოტა.

გუშინ დილით შვეციის ელჩმა გადასცა ბურიანის ნოტა; შვეიცარიის ელჩმა გერმანიის ნოტა გადასცა სტატს-სეკრეტარ ლანსინგს.

**ბერლინი.** საგარეო საქმეთა სტატს-სეკრეტარი დ-რ სოლფი იმედს გვაძლევს, რომ ამ ჟამად გამონახულა უკვე ის გზა, რომლითაც ხალხთა დაახლოვება შესაძლებელია.

იტალიის პრესა ერთი სიტყვითაც არ შეხებია ცენტრალურ სახელმწიფოთა საზავო წინადადებას. სჩანს, ცენზურამ არ გაუშვა ცნობა.

გერმანიის ნოტა პარასკევს, ღამის 12 საათზე ბერნში ჩააბარეს, საპოლიტიკო დეპარტამენტს და ღამით ბერნიდან უკვე ვაშინგტონში გადასცეს. შაბათს ალბად უკვე მიღებული იყო ვაშინგტონში. ჰფიქრობენ, რომ ხუთშაბათამდე მოვა პასუხი, ვიდრე გერმანიის რეიხსტაგი შეიკრიბებოდეს.

**ჟენევა** ცენტრ. სახელმწიფოთა საზავო წინადადებას თანაგრძნობით იხილავენ ნეიტრალურ ქვეყნების პოლიტიკურ და ფინანსიურ წრეებში.

## ომის დეპეშები

### დასავლეთის ფრონტი

**პარიჟი,** 10—9. (ეიფელის რადიოსადგურიდან). სენ-კანტენის ჩრდილოეთით და სამხრეთით ძლიერი იერიშები მოიტანეს ფრანგ-ინგლისლებმა და გერმანელებს დაახევინეს. დღეს ფრანგების პირველი ლაშქარი დაედევნა გერმანელებს სომახა და უაზოს შუა და ტყვეები იგდო ხელთ. სენ-კანტენიდან მომავალ რკ. გზის აღმოსავლეთით ფრანგებმა აიღეს ეტავის ტყე და სოფ. ვოტსუ. შემდეგ სამხრეთით ფრანგებმა მიაღწიეს ფონტენ-ნოტრ-დამს და აიღეს მარასი. უაზას ჩრდილო ნაპირით ფრანგებმა აიღეს მეზიერ-სიუს-უაზა. დღემდე ფრანგებმა 2,000 კაცი დაატყვევეს, მრავალი ზარბაზანი და სხვა მასალა. არნას ჩრდილოეთით ფრანგებმა გერმანელების ძლიერი იერიშები მოიგერიეს და გააფართოვეს თავის ბრწყინვალე მოქმედება კორუას მიმართულებით. მდ. ენის ჰალაში ფრანგებმა ბრწყინვალე იერიშები მოიტანეს. ფრანგებმა აიღეს მონ-შეუტენის პლატო და სოფელი, გრონ-გამი და ლანკონი. ფრანგებმა გადალახეს მდ. ენის მონტ-შეუტენის ჩრდილო-აღმოსავლეთით და დაიპყრეს სესუკი ჩრდილო ნაპირით ფრანგებს ხელში ჩაუვარდა 600 ტყვე, ზარბაზნები და მიტრალიეზები.

**ბერლინი.** 10—9. კამბრესა და სენ-ფონტენს შუა ბრძოლა კვლავ გაჩაღდა. ინგლისელებმა, ფრანგებმა და ამერიკელები ჯავშნოსანი ავტომობილების („ტანკების“) და არტილერიის დახმარებით იერიშები მოიტანეს ჩვენს ფრონტს კამბრედან სენ-კონტენამდე. ამ ფრონტის ჩრდილოეთით იერიში ჩვენ შევაჩერეთ, კამბრე-ბოხენის გზატკეცილის დასავლეთით. აქ მტერმა საღამოს განაახლა იერიში, მაგრამ ამაოდ. სამხრეთის ფრთით მტერმა მელრედენი ტერიტორია დაიპყრეს. მონტ-ბრენენის სამხრეთათ ჩვენმა ჯარმა მტრის იერიშები მოიგერია. რადგან ცენტრში ფრონტი გარღვეული იყო და ფრთასაც ემუქრებოდა მტერი, ჩვენი ჯარი იძულებული იყო თავის ფრთა ფრესნუა-ლე-გრანდის დასავლეთ ფერდოზე გადაეტანა. შამპანში ფრანგებმა და ამერიკელებმა კვლავ მიიტანეს იერიშები სიუიბსა და იმ ადგილს შუა, ენის დასავლეთით რომ მდებარეობს. ისინი ფრონტის გარღვევას სცდილობდნენ. ნაწილობრივი იერიშები მდ. ენთან და ამერიკელების იერიშები არგონის ტყეების აღმოსავლეთ ნაწილში და იერის ჰალაში მოვიგერიეთ. მტერმა იერიში მოიტანა ბრაბანტსა და ორნს შუა. მტერი კუზენვუას ტყეში რომ შემოიჭრა ამ რაიონში შევაჩერეთ.

**ბერლინი.** 10—9. საღამოს ცნობა. კამბრესა და სენ-კანტეს შუა საზურგო პოზიციებზე გადავედით და კამბრე დავტოვეთ. შამპანში ნაწილობრივი ბრძოლაა. მაასის ორივე ნაპირას მტრის ახალი იერიში ვითარდება.

**ვენა.** 10—9 გუშინდელ მოგერიებითი ბრძოლაში ვერდენთან ბრწყინვალე მონაწილეობა მიიღო ავსტრო ჰუნგრეთის ჯარმა ფელდმარშალ-ლეიტენანტის მეტცჰარის მეთაურობით.

### იტალიის ფრონტი

**ვენა** 10—9. საარტილერიო მოქმედება უაღრესად გამწვავდა- მადონის ჰალაში, ეჩთან და ბრენტის აღმოსავლეთით საქმე ბრძოლამდე მივიდა, რომელიც ჩვენს სასარგებლოდ მიმდინარეობს

### ბალკანეთის ფრონტი.

**ვენა** 10—9. ალბანიაში ფრანგები და სერბიელები ჩვენ მიერ გაწმენდილ ელბასენში შევიდნენ. ძველ სერბიის სამხრეთ ნაწილში საგულისხმო არაფერი მომხდარა.

## უცხოეთი

**მოსკოვი.** 10—7. ცენტრ. აღმ. კომ. ბიულეტენი.

**ვაშინგტონი.** 10—3. ამერიკამ და ინგლისმა ხელშეკრულება დადვეს 10 წლის ვადით სამედიატორო სამართლის ვალდებულების შესახებ.

ტაფტმა და რუზველტმა პროპაგანდა დაიწყეს იმისთვის, რომ გერმანიას კონტრიბუცია დაადვან.

**კიევი.** 10—6. მოლაპარაკება უკრაინასა და რუსეთს შორის შესწყდა მოსალოდნელია დიპლომატიური კავშირის შეწყვეტაც. უკრაინაში დიდი შიშიანობაა, რომ ავსტრიელ-გერმანელები უკრაინიდან წავიდნენ. ენერგიულად მუშაობენ თეთრი გვარდიის შედგენისათვის.

**ხარკოვი.** ოფიცრები ირაზმებიან. დახურულ კარებში დაიწყეს მოლაპარაკება რუმინიასთან. შეთანხმება შესაძლებელია. საქმეს აფერხებს ბესარაბიის საკითხი. კიევში კადეტები ლაპარაკობენ, რომ ბურჟუაზიას არ ძალუძს ზავის პრობლემის გადაჭრა. ბოლშევიზმი სამოქალაქო ომის სისხლით მორწყავს ევროპასო.

**ვენა** 10—7 (მოსკოვიდან). რეიხსტაგის აღკვეთული სხდომები გრძელდება.

**ვენა** 10—7 (მოსკოვიდან). იტალიის პარლამენტი გაიხსნა. ორლანდომ საზეიმო სიტყვა წარმოსთქვა. დაატუსაღეს ბისოლატი წარმოთქმულ სიტყვისათვის, რომელიც მთავრობამ დამარცხების სიტყვად იცნო.

**კიევი** 10—7 (მოსკოვიდან). გერმანელ დეზერტირებზე თავდასხმა გრძელდება მრავალი გერმანელი ჯარის კაცი შეიპყრეს. გერმანელები უარჰყოფენ ხმებს, თითქოს გერმანიას უკრაინიდან გაჰყავდეს ჯარი. სიკვდილით დასჯა

მიუსაჯეს ჩ მასწავლებელს ხარკოვში რაკოვსკი მოსკოვს მიემგზავრება უკრაინის სამხედრო სამინისტრო საჩქაროდ ადგენს ლაშქრის შექმნის პროექტს.

**სტოკჰოლმი.** პეტროგრადიდან ცნობა მოვიდა, რომ იქ დახვრიტეს მინისტრთა საბჭოს ყოფილი თავმჯდომარე ტრეპოვი.

**ნიუ-იორკი.** პარასკევს დილით „ნიუ-ჯერსში“ აფეთქება მოხდა ხელის ყუმბარების საწყობში. განკარგულება გასცეს, რომ 10 მილის რადიუსით ტერიტორია გასწმინდონ. ცეცხლმა ისეთი საშიში ხასიათი მიიღო, რომ შეუძლებელი იყო მოახლოვება. მსწრაფლ ჩაფლეს მიწაში უამრავი ასაფეთქებელი მასალა. 60 ათასი მცხოვრები გაიქცა აფეთქება საარტილერიო ბრძოლის შთაბეჭდილებას ახდენდა თავისი ხმაურობით.

# ახალი ამბავი

**ახალციხე და ახალქალაქი.** როგორც გადმოგვცეს ახალციხესა და ახალქალაქის მაზრები საქართველოს დაუბრუნდა. საქართველოს მთავრობამ უკვე დანიშნა ამ მაზრებში თავისი წარმომადგენელი. ოფიციალური ცნობა ჯერ არ მოგვსვლია.

**ქალაქის ახალი გამგეობა.** ქალაქის საბჭოს ოქტომბრის 9-ს სხდომაზე გადასწყდა ახალი გამგეობა შესდგებოდეს 9 კაცისაგან. ჯერ ჯერობით აირჩიეს 6 კაცი ქალაქის თავად ნ. ელიავა მის ამხანაგად კონიაშვილი, წევრებად; ბესელიძე, ხურამოვიჩი, ჩერქეზიშვილი და ფირუმოვი.

**სახალხო უნივერსიტეტში.** დღეს საღამოს 7 საათზე სახალხო უნივერსიტეტის ქართულ განყოფილებაში, ნაძალადევის თეატრში დანიშნულია რ. არსენიძის ლექცია; „სოციალიზმის ისტორია“.

**დატუსაღება.** მილიციის უფროსის განკარგულებით დატუსაღებულ იქმნა 3 თვით ციხეში მარტიროსიანცი სიმთვრალისათვის და მილიციის წინაამდეგ მოქმედებისათვის.

**გაძარცვა.** ოქტომბრის 10-ს სასტუმრო „ვოსტოკში“ იზმაილოვს და ამირალოვს ბოროტმოქმედებმა 10 ათასი მანეთი წაართვეს.

**მკვლელობა.** ოქტომბრის 8-ს საპიორის ქუჩაზე ცეიჰგაუზის შენობაში მე 5 ქართული პოლკის ჯარის კაცმა გ. ჩხენკელმა უცაბედად თოფით მოკლა ჯარის კაცი აკ. მიქაბერიძე.

**კერძო გიმნაზიები.** ამ ჟამად ქ. ტფილისში ითვლება 26 კერძო გიმნაზია.

**ჟურნალი „განათლება“.** რედაქციამ მიიღო ჟურნალ განათლების“ 1918 წლის პირველი ნომერი.

### სასწავლებლებში.

**კერძო ქართულ გიმნაზიაში** მოზრდილთათვის სწავლა დაიწყო პირველ ოქტომბრიდან. სწავლა სწარმოებს საღამოებით ხუთი საათიდან. თხოვნის მიღება გიმნაზიის კანცელარიაში ყაზბეგის ქუჩა 26

**მეექვსე ქალთა გიმნაზიის** გაეროვნებულ კლასებში (საანბანოდან დაწყებული მე-4 კლასამდე) სწავა უკვე დაიწყო. მოწაფეების მიიღება გრძელდება.

### კრებები.

**ექიმთა კრება** ქართველ სამხედრო ექიმთა ჯგუფი სთხოვს ყველა ტფილისში მყოფ სამხედრო ექიმებს მობრძანდნენ კრებაზე დღეს ამა ოქტომბრის 11-ს საღამოს შვიდ საათზე (სოც.-ფედერალისტთა პარტიული კლუბი, ძველი სემინარიის შენობა ლორის მელიქოვის ქუჩაზე № 1) განსახილველია სამხედრო ექიმთა საზოგადო კრების მოწვევისა და ამ კრების პროგრამის შემუშავების საკითხი. სათანადო ნებართვა უკვე მიღებულია

**კრება.** კვირას ოქტომბრის 13-ს დილის 11 საათზე ექსპედიციის შენობაში დანიშნულია კრება სახელმწიფო ქაღალდების მბეჭდავ ექსპედიციის ქართველ მოსამსახურეთა. განსახილველია შემდეგი საკითხები: 1) კავშირის დაარსება, 2) კავშირის გამგეობის არჩევა და მიმდინარე საკითხები.

**რაჭა ლეჩხუმის დამხმარე საზოგადოების გამგეობ ს კრება** დანიშნულია დღეს, საღამოს 7 ს. „სახალხო საქმის“ რედაქციაში წევრებს სთხოვენ უეჭველად მობრძანდნენ.

**მოსამსახურეთა კრება.** კვირას, ოქტომბრის 13-ს დილის 11 საათზე შინაგან საქმეთა სამინისტროს ადმინისტრატიულ განყოფილების დარბაზში, პეტრე დიდის ქუჩა № 8, დანიშნულია საქართველოს პარლამენტის და ყველა სამინისტროს კანცელარიის მოსამსახურეთა საერთო კრება. კრების საგანი: 1) ახლად დაარსებულ საეკონომიო საზოგადოების წესდების განხილვა დამტკიცება. 2) მუდმივი გამგეობის, და სარევიზიო კომისის არჩევა, 3) წარმოების დაწყება, 5) მთავრობისაგან სესხის აღების საკითხი.

**ქართულ სატეხნიკო საზოგადოებაში.** დანიშნული მოხსენება ინჟინერ ი. ლ. პროსინსკისა შესახებ საელექტრო რკინის გზისა არ შესდგა, იგი გადაიდო დღეისთვის, ოქტომბრის 11-სთვის საღამოს 7 საათზე, ფრეილინის ქუჩა № 11. დასწრება ყველას შეუძლიან.

— ხვალ ოქტომბრის 12-ს საღამოს 7 საათზე იქვე შესდგება წლიური კრება საზოგადოებისა. მოხსენება გამგეობისა და სარევიზიო კომისიისა და არჩევნები საბჭოსი.

# სოფლად და ქალაქად.

**დ. ჩოხატაური.** ადგილობრივ სასწავლებლებში სწავლა უკვე დაიწყო 1-ლ ოქტომბრიდან.

— ამ სამოსწავლო დღიდან დ. ჩოხატაურში მთელი რაიონის ხარჯით და მთავრობის ნებართვით იხსნება გიმნაზიის მეხუთე კლასი, რისთვისაც სასკოლო კომისიამ უკვე გამართა მოლაპარაკება ქ. ერისთავთან და მოურიგდა მას ადგილში და სახლში 125000 მანეთად.

— კვირას, სექტემბრის 29 მოხდა მთელი რაიონის მომხმარებელ საზოგადოებათა წარმომადგენლების კრება. კრებამ პირველ ყოვლისა იქონია მსჯელობა ამიერ კავკასიის მომხ. საზ. წარმომად. კრების გამოტანილ რეზოლიუციის შესახებ კავშირის სახელწოდებისა და ერთხმად დაადგინა მიეცეს წინადადება ამიერკავკასიის კავშირის გამგეობას ხელმეორედ იქნას მოწვეული კრება და მომხმარებელ საზოგად კავშირს ეწოდებოდეს საქართველოს მომხმარებელი საზ. კავშირი და არა ამიერ კავკასიისა.

— სარაიონო კომისრად დანიშნულ იქნა ვიქტორ ბურჭულაძე, რომელიც უკვე შეუდგა თავის მოვალეობის ასრულებას.

— ამ დღეებში ჩოხატაურში მოხდა მთელი რაიონის მასწავლებელთა კრება, რომელსაც მოხსენება გაუკეთეს საგუბერნიო მასწავლებელთა კრების მიერ დადგენილებების შესახებ და აგრეთვე იქნა გარჩეული სხვა და სხვა საპირბოროტო კითხვები. საგუბერნიო ყრილობის მიერ გამოტანილი რეზოლიუციები მოწონებული და მიღებული იქმნა.

— თუმცა ჩოხატაურის რაიონში აგვისტოში მოსულმა ნიაღვარმა მეტად დიდი ზარალი მიაყენა, მაგრამ მაინც შედარებით გასულ წლებთან მოსავალი კარგი არის და მომავალში შიმშილობას ადგილი აღარ უნდა ექნეს.

— მეტად გაჭირდა მიმოსვლა ჩოხატაურსა და სად. საჯავახოს შორის. აგვისტოს არა ჩვეულებრივმა ნიაღვარმა მთელი ოთხი ვერსის მანძილზე დაანგრია გზა, რომელიც ჯერაც შეუკეთებელია და რომლის შეკეთება ინჟინრების გამოანგარიშებით დაჯდება მილიონ ნახევარი.

# საქ. სოც.-ფედ. სარევ. პარტიაში

შაბათს, ოქტომბრის 12-ს პარტიულ კლუბში მუშათა კავშირის გამგეობა იწვევს ტრამვაის მუშათა კრებას. განსახილველია საორგანიზაციო საკითხები. მოხდება ახალი არჩევნები მუშათა კავშირის გამგეობაში. ამხანაგებს ვსთხოვთ აუცილებლად მოვიდნენ კრებაზე კრების დასაწყისი საღ. 7 საათზე.

—

**ტფილისის კომიტეტის არჩევნები** მოხდება კვირას, ოქტომბრის 13-ს, პარტიის მთავარ კლუბში მოხდება ტფილისის წევრთა საერთო კრება. კრების საგანია: 1) მოხსენება ტფილ. კომიტეტისა, 2) ტფილ. კომიტეტის არჩევნები. კრების დასაწყისს ამხ. გრიგოლ რცხილაძე წაიკითხავს მოხსენებას სტამბოლის კონფერენციაზე

კრების დასაწყისი დილის 11 საათზე,

—

**კრება ნაძალადევში** დღეს, ოქტომბრის 11-ს, ნაძალადევის სამრევლო სკოლის შენობაში დანიშნულია ამ უბნის სოციალისტ-ფედერალისტთა კრება. ამხ. **შალვა ნუცუბიძე** წაიკითხავს მოხსენებას: „ინტელიგენცია და მუშათა კლასი“. დასაწყისი საღამოს 7 საათზე.

# ტფილისის საბჭო

ოქტომბრის 9-ს გაიმართა ტფილისის ქალაქის საბჭოს სხდომის გაგრძელება.

კრების საგანი იყო ახალი გამგეობის არჩევნები.

ეს-ერების ნაწილმა, რომელსაც ჰმეთაურობს ხუდადოვი და თუმანოვი განაცხადეს წინა სხდომაზე საგანგებო რაზმის შესახებ მიღებულ რეზოლიუციების შემდეგ—ჩვენ გამგეობაში მუშაობა შეუძლებლად მიგვაჩნია და ამიტომ კანდიდატებსაც არ ვასახელებთო.

ასევე განაცხადეს დაშნაკცაკანებმა

**ევგ. გეგეჭკორი.** ამ გაჭირვების და კრიზისის დროს ეს ვაჟბატონები გაურბიან პასუხისგებას და მუშაობას. და აი, რომ ხალხს აუხსნან თავისი ასეთი, ვიტყვი პირდაპირ, დანაშაულობა—რაღაც მაღალ პოლიტიკაზე ლაპარაკობენ. ჩვენი ფრაქცია არ გაურბის პასუხისმგებლობასა, ხალხისთვის მუშაობას და კისრულობს მთელ მუშაობას. დაშნაკცაკანების და კადეტების საქციელი პოლიტიკურ ბრძოლის გამოცხადებაა. ჩვენ ეს გვეცოდინება და არაფერს გავექცევით.

თუმანოვი ლაპარაკობს ფრიად ვრცლად და ამბობს, რომ პოლიტიკურ ბრძოლას გვიცხადებენ და ჩვენც ვიღებთ და ვიბრძოლეთ კიდევაცო.

**ამხ. ი. ბარათაშვილმა** წარმოსთქვა ფრიად ცხარე სიტყვა დაშნაცაკანების და კადეტების წინააღმდეგ. ვინც დღეს ჩვენთან არ არის მუშაობაში, იგი მტერია და მართლაც პოლიტიკურ ბრძოლას ეწევა ჩვენი სახელმწიფოს წინააღმდეგ და როდესაც ასე იქცევა ხუდადოვი, მე ვეტყვი: ბ-ნო ხუდადოვო, თქვენ საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქე არა ხართ. რაც შეეხება დაშნაცაკანებს, მათ ზნეობრივი უფლება არა აქვთ უარი სთქვან პასუხისგებაზე. ისინი ჩვენში სცხოვრობენ, ჩვენში უნდა იცხოვრონ და ამიტომ ეს საბოტაჟი არ გამოადგებათ. ჩვენი ფრაქცია სოციალისტ-ფედერალისტებისა, თუმცა გამგეობაში არ იღებს მონაწილეობას, მაგრამ მთელი თავისი ძალღონით დახმარება ამ მუშაობაში, რომელიც ... მძიმე და პასუხსაგებია დღევანდელ მომენტში.

ამხ ბარათაშვილის სიტყვას მრავალჯერ ტაშით აწყვეტინებდნენ

ბოლოს მოხდა არჩევნები. გადაწყდა წინანდელ 12 წევრის მაგივრად, აირჩიონ ცხრა წევრი, რადგან ეს რიცხვი საკმარისია

ამ სხდომაზე აირჩიეს მხოლოდ ექვსი კაცი ქალაქის თავად ნ. ელიავა, მის ამხანაგად კონიაშვილი, გამგეობის წევრებად: ივ. ჩერქეზიშვილი, ბესელიძე, ფირუმოვი და ხურამოვიჩი.

სხდომა დამთავრდა ღამის 12 საათზე.

# † ვასო არდიშვილი

მძიმეა თავისთავად ყოველი სიცოცხლის დაკარგვა, მაგრამ ათასჯერ უფრო მძიმეა ისეთი სიცოცხლის დაკარგვა, რომელიც მარტო განსაზღვრულ ნათესავების წრეს არ ეკუთვნის, არამედ ეკუთვნის ამხანაგებს, მეგობრებს, საზოგადოებას. უკანასკნელ შემთხვევაში ჩვენ ვგლოობთ ჩვენ დაკარგულ იმედებს. ადამიანი ყოველ შემთხვევაში ეგოისტია, მისი მწუხარებისა და ბედნიერების საზომი უმეტეს შემთხვევაში სუბიექტიურია. თუ ეს ითქმის ერთეულებზე, იგივე ითქმის საზოგადოებაზედაც: უკანასკნელს უყვარს და მოსწონს ისეთი პიროვნება, რომელიც მის მრავალ გვარ მოთხოვნილებებს აკმაყოფილებს; მას აწუხებს ისეთი საზოგადო მოღვაწის დაკარგვა, რომელიც თავის სიკვდილით თავისთან ერთად მარხავს იმ იმედების შესრულების შესაძლებლობას, რომელსაც საზოგადოება მისგან მოელოდა.

საუბედუროდ სიცოცხლით, ენერგიით და საზოგადოებისათვის სასარგებლო საქმის გაკეთების სურვილით გატაცებულ ამხანაგ ვასო არდიშვილს არ დასცალდა დასრულება თავისი სიცოცხლისა. უაზრო და დაუნდობელმა სიკვდილმა შემოკრა თვისი ბასრი ცელით და სასიცოცხლოთ გაშლილი ახალგაზრდა ფრთები სამუდამოდ ჩამოაყრევინა. მოკვდა ვასო, რომელმაც ძლივს მოასწრო სიცოცხლის დაწყება; მოკვდა მაშინ, როდესაც სამშობლოს თავისუფლებით ბედნიერი, მისი მომავალი იმედის—ახალგაზრდობის გაწრთვნა-მომზადებას მთელი თავისი ახალგაზრდული ენერგიით შეუდგა. მუდამ მხიარული, მუდამ მოცინარი, უაღრესად ოპტიმისტი, იგი იშვიათად ჰნახავდით მოწყენილს. დღიდან შეგნებულად ცხოვრების დაწყებისა თავისი ხანმოკლე სიცოცხლე თავისი საყვარელი სამშობლოს სამსახურს შესწირა. ევროპიული ცოდნით აღჭურვილმა პედაგოგმა, რევოლიუციის დასაწყისშივე სხვებთან ერთად მოჰკიდა ხელი

# თეორია და პრაქტიკა

## 2.

### პრაქტიკა.

როდესაც პრაქტიკული საკითხების განხილვასა და დაფასებას შეუდგებით, ჩვენ ვემყარებით **ფაქტს** ფაქტი კი ასეთია: საქართველო დამოუკიდებელი რესპუბლიკაა, ან, უკეთ რომ ვსთქვათ, მას ჰსურს დამოუკიდებელ რესპუბლიკად გადაიქცეს. თუ პირველში ვინმე ეჭვს შეიტანს, ის მაინც ყოველივე ეჭვს გარეშე უნდა იყოს, რომ ჩვენ **გვინდა** საქართველო დამოუკიდებელ დემოკრატიულ რესპუბლიკად გადაიქცეს. რამ დაჰბადა ეს ფაქტი? ორმა გარემოებამ: რევოლიუციამ და ომმა. რევოლიუციამ წარმოშვა ჩვენი რესპუბლიკა, ომმა—დამოუკიდებლობა. ჩვენ საჭიროდ არ მიგვაჩნია გრძლად ჩამოთვლა სარევოლიუციო მოძრაობის ევოლუციის მთელი ისტორიისა. საკმარისია გავიხსენოთ, რომ რუსეთის რევოლიუციამ, ბოლშევიკური მოძრაობის სახით, ანტიპარლამენტარისტული ხასიათი მიიღო. იდეა პარლამენტარიზმისა რუსეთში ისე მოკვდა, რომ რეალური განსახიერება ვერა ჰპოვა. რუსეთს პარლამენტარისტულად არ უცხოვრია არც ერთს დღეს: დამფუძნებელმა კრებამ, გვგონია, სულ რამდენიმე საათს ძლივს გასტანა. მთელი დანარჩენი დრო, მთელი მოღვაწეობა ბოლშევიკებისა იმაში გამოიხატა, რომ სათავეშივე ჩაეკლა იდეა პარლამენტარიზმისა და მის ნაცვლად გაემეფებინა იდეა საბჭოთა დიქტატურისა

საქართველოს დემოკრატიამ ბოლშევიზმი არ მიიღო, როგორც დოქტრინა და იარაღით შეებრძოლა მას, როგორც მოძრაობას. რუსეთის შემდეგ პარლამენტარიზმის იდეის გადარჩენას თვით სოციალ-დემოკრატები უპირველესად ყოველისა ამიერ-კავკასიაში შეეცადნენ. მაგრამ სხვა და სხვა გარემოებათა წყალობით, რომლებიც უკვე ყველამ იცის, ამიერ-კავკასიაში ეს ვერ მოხერხდა. მაშინ, ბ-ნი ირ. წერეთელის სიტყვა რომ ვიხმაროთ, სოციალ-დემოკრატია თავის უკანასკნელ პოზიციაზე დადგა და საქართველოში მოისურვა იმ პარლამენტარიზმის განხორციელება, რომელიც რუსეთის საზღვრებში ვერ შესძლო.

ომმა შესაძლებელი და საჭირო გახადა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება. საქართველოს დამოუკიდებლობის მტრები ეხლა არხეინადა ჰგრძნობენ თავსა და დამშვიდებულის გულით ძირს უთხრიან ჩვენს თავისუფლებას. მაგრამ მაშინ, როდესაც ეს საკითხი სწყდებოდა, როდესაც ოსმალეთის ჯარი ტფილისს აწვებოდა და ჩვენი ქვეყანა საშინელი კატასტროფის წინ იდგა, მაშინ, როდესაც ერის წინაშე პასუხისმგებელი პირნი თავს იტეხდნენ ხალხის გადასარჩენი საშუალების გამოსაძებნად, მაშინ მათ, ვინც დღეს ჩვენს დამოუკიდებლობას ებრძვის, ბარგი შეკრული ჰქონდათ და დარიალის ხეობით რუსეთისკენ გარბოდნენ.

საქართველოს პოლიტიკური მოღვაწენი, რასაკვირველია, ასე ვერ მოიქცეოდნენ, რადგანაც ისინი ჰგრძნობდნენ პასუხისმგებლობას ერის წინაშე. ამ რიგად საქართველოს დამოუკიდებლობაც ფაქტად იქცა. საჭირო გახდა მისი დაცვაც. რესპუბლიკა და დამოუკიდებლობა,—აი ის ორი დიდი მიზანი, რომელიც აღიმართა ჩვენი თაობის წინაშე როგორც მოსალოდნელი იყო, ჩვენშიაც ორივე მიზანს მოწინააღმდეგენი გაუჩნდნენ. ჩვენ ამ ჟამად საჭიროდ არ მიგვაჩნია თანაბარად გადაჭარბებული პოლიტიკური კვანძის გახსნა. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ ჩვენში ჩვეულებრივი ბოლშევიზმის გარდა, იყო და არის მოძრაობა დამოუკიდებლობის წინააღმდეგაც. ორივე ამ მოძრაობას ჩვენში დაუპირისპირდა საქართველოს პარლამენტი და მის წინაშე პასუხისმგებელი მთავრობა, როგორც მატარებელი პარლამენტარიზმისა და დამოუკიდებლობისა ამ ორმა მიზანმა თავი მოიყარა საქართველოს პარლამენტში, როგორც ფოკუსში რად ებრძვის მთავრობა ლეჩხუმისა და დუშეთის აჯანყებულებს? მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი არ ემორჩილებიან საქართველოს პარლამენტის წინაშე პასუხისმგებელ მთავრობას? მხოლოდ პარლამენტარისტური იდეის გულისთვის შეგვიძლიან გავამართლოთ ის რეპრესიები, რომლითაც მიჰმართავს მთავრობა აჯანყებულ გლეხებს? პარლამენტარიზმის შესაქმნელად გამოიმიჯნა საქართველო რუსეთისაგან და ბოლშევიკურ რუსეთს დაუპირისპირა თავისი რესპუბლიკანური მეთოდები სახელმწიფოებრივი საადმშენებლო მუშაობისა ამ ფუძეს განძს საქართველოს მთავრობა ისე უნდა გაუფრთხილდეს, როგორც თვალის ჩინს.

საქართველოს მთავრობა დღემდის ამ დროშის ქვეშ მიდიოდა და თეორეტიულად თითქოს დღესაც ამ გზით მიდის. მაგრამ პრაქტიკულად ჩვენ ძალიან დიდს გამოურკვევლობასა ვხედავთ და ეს გამოურკვევლობა, ალბათ, ბ. ნ. ჟორდანიას ინდივიდუალურ თვისებებს, ან უკეთ რომ ვსთქვათ, მის სუბიექტურ აზროვნებას უნდა მიეწეროს. თუ იდეა პარლამენტარიზმისა, იდეა პარლამენტის წინაშე პასუხისმგებელი მთავრობა ისეთი რამ არის, რომლის გულისთვის საც შესაძლებელია აჯანყებული გლეხები დაეხვრიტათ და აეწიოკათ, ვერ გაგვიგია, რატომ იგი სავალდებულო არ უნდა იყოს ყველასთვის?

მაგრამ, აი სწორედ აქ იჩენს თავს ბ-ნ ნოე ჟორდანიას ის თეორეტიული მოსაზრებანი, რომელთა შესახებაც წინა წერილში ვლაპარაკობდით. ჩვენ თურმე ერთნაირი მოთხოვნილება არ შეგვიძლიან წარვუდგინოთ კონსერვატიულ გლეხებსა და სხვა ორგანიზაციებს. გლეხები ვალდებულნი არიან დაემორჩილონ მთავრობას და იმ პარლამენტს, რომელიც ხალხმა აირჩია. მაგრამ ეს კიდევ იმას არა ნიშნავს, რომ სხვებიც უნდა დაემორჩილონ?

და აი პრაქტიკული შედეგების დროს ჩვენ კიდეცა ვხედავთ ორჭოფობას, რომელიც უსისტემობასა ჰქმნის სახელმწიფოს მართვა-გამგეობის საქმეებში ამ უსისტემობას ავტორი, რა თქმა უნდა, ნოე ჟორდანია არ არის. მაგრამ უსისტემობას რომ ბოლო არ ელება, ეს კი ძალიან დიდის დაბეჯითებით შეიძლება ბ-ნ ნოე ჟორდანიას მიეწეროს.

ავიღოთ თუნდაც სარევოლიუციო ცენტრი. პარლამენტარისტური იდეის გაძლიერებამ ეს ორგანიზაციები განსაზღვრულ კალაპოტში ჩააყენა. მაგრამ განა საიდუმლოებას წარმოადგენს ვისმესთვის, რომ ეს დაჩუმება მხოლოდ გარეგნული ხასიათისა არის? და თუ ეს ასეა, ჩვენ არ ვიცით, სასახლის თეთრ დარბაზს უკან ჩასაფრებული ანტიპარლამენტარისტური ელემენტი რად უნდა წარმოადგენდეს მეტს ღირებულებას ვიდრე დაბრმავებული, უვიცი გლეხობა, რომელიც ბებრის ციხის უკან იყვნენ ჩასაფრებულნი და თოფს ესროდენ მთავრობის წარმომადგენელს?

რკინის გზაზე თითქოს გარეგნულად დამყარდა იგივე წესები, როდესაც მთელი ნ სახელმწიფოებრივ საადმშენებლო მუშაობას არაფერი უნდა უშლიდეს ხელს. მაგრამ ესეც ალღოსთვის საიდუმლოებას არ უნდა შეადგენდეს, რომ ჩაჩუმება იქაც გარეგნული ხასიათისაა, ან ცენტრალურ კომიტეტიდან გაძევებულმა ანტიპარლამენტარისტულმა ქარმა ეხლა სხვა მხრიდან დაჰბერა. ჩვენ არ ვიცით, რა მოსაზრების ძალით შეგვიძლიან ანტიპარლამენტარისტური საქციელისთვის დუშეთის გლეხი სიკვდილით დავსაჯოთ და ასეთივე ანტიპარლამენტარისტური საქციელისთვის ბ-ნ ნინუას და მის დამქაშებს ციხეში არ ამოვაყოფინოთ თავი ნინუა ხომ ისევე ებრძვის ჩვენს მთავრობას, როგორც დუშეთის გლეხი? რა ვუყოთ, რომ ნინუა თავის თავს დემოკრატს უწოდებს? ის ყოველ შემთხვევაში ენინზე კარგი დემოკრატი არ ბრძანდება.

ავიღოთ ჯარის საკითხი. უკვე დამტკიცებულ ფაქტად შეიძლება ჩაითვალოს, რომ სახელმწიფოში ორი ტიპის ჯარის ყოლა ყოვლად შეუძლებელია. ჩვენში აქსიომად არის მიჩნეული, რომ ჯარი საჭიროა, მაგრამ ძირითადი სენი,—ანტისახელმწიფოებრივი ელემენტების ჩუმი და ბნელი მუშაობა, - შეუძლებლადა ჰქმნის ჯარის შექმნას. ამაზე ვრცლად ამ საგანზე ლაპარაკი საჭიროდ არ მიგვაჩნია.

თუ ყველა ამ საკითხს ანტისახელმწიფოებრივ სწავლებას მთავრობა ჯეროვნად ვერ ებრძვის, ეს მხოლოდ იმით უნდა აიხსნას, რომ იდეა პარლამენტარიზმისა, როგორც სახელმწიფოებრივი საადმშენებლო მუშაობის შინაარსისა ძვალსა და რბილში აქვთ გამჯდარი ჩვენში მოქმედ პოლიტიკურ ჯგუფებს. ხოლო თუ პარლამენტარიზმი და უალრესობა პარლამენტის წინაშე პასუხისმგებლობისა ძვალსა და რბილში არა აქვთ გამჯდარი, ეს რაოდენადმე უნდა მიეწეროს თვით ბ-ნ ნოე ჟორდანიას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზესტაფონში ქალ-ვაჟთა გიმნაზიის დაარსების საქმეს. ჩვენი სამშობლოს მტკიცე მომავალს იგი ხედავდა ქართველ ახალგაზრდობის მშობლიურ ნიადაგზე აღზრდაში და მთელი თავის არსებითაც მიეცა ამ საქმეს მაგრამ საუბედუროდ არ დასცალდა. მოსწავლე ახალგაზრდობამ და მათმა მშობლებმა დაჰკარგეს საუკეთესო საქმის მცოდნე პედაგოგი. ზესტაფონის საზოგადოებამ დაჰკარგა პატიოსნებითა და ენერგიით აღსავსე მოღვაწე. ჩვენ ვასოს ამხანაგ, მეგობრებს მისი სამუდამო დაკარგვით მწუხარებისა მეტი აღარა დაგვრჩენია რა. მხოლოდ შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ ვასო იქნება ჩვენთვის ყოველგვარი ადამიანობის მაგალითი; ჩვენ უნდა ვისწავლოთ მისგან თუ როგორ უნდა სამშობლოს სიყვარული, როგორი უნდა იყოს ნამდვილი ქართველი.

**ნ. ბეჟუაშვილი.**

## საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარეს

აგუდათ ისრაელთა საზოგადოების გამგეობა
**ქუთაისი.**

### განცხადება.

უხსოვარ დროიდან ქართველი ებრაელები სცხოვრობდნენ საქართველოში ქართველ ქრისტიანებთან ძმობასა და მეგობრობაში. ენისა და ზნეჩვეულების ერთობა და სამშობლოსადმი სიყვარული არ უშლიდა ორთავეს დაეკავებინათ თავიანთი სჯული და თაყვანი ეცათ თავიანთ წინაპრების სარწმუნოებისათვის. როდესაც ყველა ერებმა მიიღო უფლებათ თვითგამორკვევისა და საშუალება მოეცა თავისუფლად მოაწყოს თავიანთი სასულიერო თემური ცხოვრება, ქართველი ებრაელები, როგორც საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქენი, მოვალეობად სცნობენ: იზრუნონ თავიანთი სამშობლო, საქართველოს რესპუბლიკის, კეთილ მომავალზე, მხოლოდ მას მოახმარონ თავიანთი ცოდნა და ქონება, და ყოველგვარ სახელმწიფოებრივი პოლიტიკური, ეკონომიური და საზოგადოებრივი საკითხებში იარონ თავიანთ ძმებ ქართველებთან ერთად ხელი-ხელ ჩაკიდულნი. რაიცა შეეხება შინაურ სასულიერო—თემურ და კულტურულ-რელიგიურ ცხოვრების მოწყობას, ქართველი ებრაელები მტკიცედ დაადგებიან თავიანთ წინაპრების აღთქმა-ტრადიციებსა და ებრაელთა სარწმუნოების კანონებზე; როგორც იყო აქამდის ისე უნდა დარჩეს მომავალ დროისთვისაც.

აგუდათ ისრაელთა საზოგადოების გამგეობამ გაიგო რომ ქ. ტფილისის ებრაელთა სამრევლო კომიტეტი იწვევს საქართველოს ებრაელთა ეროვნულ ყრილობის ებრაელთა ეროვნულ საბჭოს შექმნის და სხვა კითხვათა მოსაგვარებლად. ამიტომ აგუდათ ისრაელთა საზოგადოების გამგეობა ვალად რაცხს თავის თავს განაცხადოს რომ, მას (აგ. ის.), როგორც გამომხატველს ქართველ ებრაელთა დიდი უმრავლესობის სურვილებისა, არაფერი საერთო არა აქვს ქ. ტფილისის ებრაელთა სამრევლო კომიტეტთან და სრულიად არ თანაუგრძნობს ამ უკანასკნელს, რომელიც თავის ნებით და სრულებით სხვის დაუკითხავად იკუთვნებს საქართველოს ებრაელთა ყრილობის მოწვევის უფლებებს.

ამასთანავე აგუდათ ისრაელთა საზოგადოების გამგეობა აცხადებს პროტესტს ქ. ტფილისის ებრაელთა სამრევლო კომიტეტის მოქმედების წინააღმდეგ კომიტეტი, როგორც ადგილობრივი დაწესებულება, უნდა მოქმედობდეს მხოლოდ თავის კომპეტენციის საზღვრებში, მაგრამ ეს ზემოხსენებული კომიტეტი, ზოგიერთ საკითხების გადაჭრის დროს, რომელიც ეხება ქართველ ებრაელების ცხოვრებას, გამოდის როგორც მთელი ებრაელთა ეროვნული ორგანო და განზრახ გადადის თავის უფლებათა წრიდან. სრულიად რუსეთის ებრაელთა ყრილობის წარსულმა დელეგატთა არჩევნებმა რომელიც არ შესდგა პოლიტიკური მდგომარეობის გართულების გამო, უკვე გვაჩვენეს, რომ 90 პროცენტმა მთელ ქართველ ებრაელებისამ მისცა ხმა ჩვენი საზოგადოების სიას № 9. ამიტომაც ქ. ტფილისის სამრევლო კომიტეტს შეშვენოდა უფრო ფრთხილად მოპყრობოდა საერთო ებრაელთა საკითხს და უფრო შემოკლებულ მასშტაბით მოქმედება, განესაზღვრა რა თავის მოქმედების რაიონი ქ. ტფილისით.

ვაცხადებთ რა პროტესტს ტფილისის ებრაელთა სამრევლო კომიტეტის მოქმედების წინააღმდეგ, აგუდათ ისრაელთა საზოგადოების გამგეობა თავის მხრით იხსნის ყოველგვარ პასუხისმგებლობას მათ მიერ მოწვეულ ებრაელთა ყრილობისას ქ. ტფილისში.

აგუდათ ისრაელთა საზოგადოება ქართველ ებრაელთა სახელით გულწრფელად მიულოცავს საქართველოს პარლამენტის დადგენილებას, რომლითაც ქართველ ებრაელებს ეძლევა საქართველოს პარლამენტში ორი ადგილი, რომლებსაც სულ ახლო მომავალში დაიკავებენ ჩვენი წარმომადგენელნი, ამიტომ ვსთხოვთ საქართველოს პარლამენტს არ გადასცეს ქართველ ებრაელთა ადგილები დელეგატებს, რომლებსაც წამოაყენებს ის ვითომდა ეროვნული ყრილობა, რომელსაც იწვევს ტფილისის ებრაელთა ეროვნული საბჭო, მით უმეტეს რომ, რამდენადაც ჩვენ ვიცით ასეთი საბჭოები ქართველ ებრაელებში სრულიადაც არ არსებობენ

გამგეობის თავმჯდომარე; მ. ფიჩხაძე. მდივანი: ი. ციკიაშვილი. სასულიერო მმართველობა: ი. გაგულაშვილი ა. ბუზიაშვილი. ქუთაისის ებრაელების რაბინი: რეუბენ ელიაშვილი, თანაშემწე ქუთაისის რაბინისა: მოშე რიჟინაშვილი.

ოქტომბრის 6.

---

საქართველოს ბედი ბეწვზე ჰკიდია. ოსმალეთის შემოსევა თავიდან ავიცილეთ და ბოლშევიკურ ხგრევა-რღვევისაგანაც ჯერჯერობით თითქოს თავი დაზღვეული გვაქვს. მაგრამ ეს კიდევ იმას ნიშნავს, თითქოს ჩვენი ქვეყნის ხომალდი უკვე მივიყვანეთ იმ ნავთსაყუდელთან, სადაც იგი დაცული იქნება აზვირთებული ცხოვრების ოკეანეს ტალღებისაგან. თამამად შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს არასოდეს არა ყოფილა ისეთი განსაცდელის წინაშე, რანაირშიაც ეხლა იმყოფება. ჩვენი ქვეყნის ბედი თუ უბედობა სავსებით იმაზეა დამოკიდებული, თუ რამდენად კარგად მოვახერხებთ ჩვენი სახელმწიფოებრივობის შექმნას. ჩვენში დღეს ორი, ერთი-მეორის საწინააღმდეგო სტიქია იბრძვის. ერთია სტიქიაა სახელმწიფოს დამრღვეველი, მეორე აშენებელი. სახელმწიფოს დარღვევას ცდილობენ ჩვენი ქვეყნის გარეშე მდგარი ძალები—რუსეთის კონტრ-რევოლიუციონერები, რუსეთის „ბოლშევიკები და რამოდენიმე ოსმალეთიც, რომელიც ოფიციალურად მეგობრობას გვიცხადებს და მხოლოდ ხელსაყრელ დროს უცდის თავზე დასასხმელად ჩვენს სახელმწიფოებრივ საალმშენებლო მუშაობას ებრძვიან შინაური მტრები, რომელნიც ხან აშკარად იბრძვიან ჩვენს წინააღმდეგ და ხან ხელს უწყობენ ყველაფერს იმას, რაც ძირს დასცემს, ჩვენს სახელმწიფოს და ხელს შეუშლის დადებითს საალმშენებლო მუშაობას. დასასრულ ჩვენს სახელმწიფოს ებრძვიან, შეგნებით თუ შეუგნებლად. ყველა ისინი, ვინც ცდილობს საქართველოს მთავრობის პრესტიჟი დასცეს და მისი განკარგულებანი სავსებით და შეუძლებლივ შეასრულონ. ჩვენს სახელმწიფოს ებრძვის ყველა, ვინც საქართველოში მრავალმთავრობიანობასა ჰქმნის და თხოულობს ჩვენი მთავრობისაგან, რომ იგი მარტო საქართველოს პარლამენტის კი არა, სრულიად უპასუხისმგებლო ორგანიზაციების წინაშეც კი იყოს პასუხისმგებელი. ეს არის ერთი სტიქია—სტიქია ჩვენი ქვეყნის დამრღვეველი, გამანადგურებელი, ანარქიისა და ქაოსის შემქნელი. ეს ის სტიქიაა, რომელიც საბოლოოდ, თუ გაიმარჯვა, ძირს დასცემს ჩვენს დამოუკიდებლობას და საქართველოს დაუსრულებელი არევ-დარევის ასპარეზად გადააქცევს.

მეორე სტიქიაა—სახელმწიფოს დამცველი; ეს ის სტიქია, რომლის მოღვაწეობაც დადებითს საალმშენებლო მუშაობისკენ არის მიმართული. თუ ამ სტიქიამ გაიმარჯვა, ჩვენი ქვეყანა განამტკიცებს დამოუკიდებლობას, განამტკიცებს რესპუბლიკანურ წესწყობილებას და ხალხს გაუხსნის ფართო ასპარეზს თავისუფალი მშვიდობიანი განვითარებისას.

საითკენაა ბ-ნი ნოე ჟორდანია? თუ იგი მეორე მხარეს ეკუთვნის, მაშინ თავისი პრობლემატიური ექსპერიმენტები დროებით გვერდით უნდა გადასდოს, უპასუხისმგებლო პირებსა და ორგანიზაციებს სათანადო ადგილი უჩვენოს, ზედმეტად წათამამებულ ვაჟბატონებს პირს ლაგამი ამოსდოს, თუ საჭიროება მოითხოვს, მათი ერთგვარი იზოლიაციაც მოახდინოს და ამნაირის ენერგიულის ხელით, უყოყმანოდ მოსპოს სათავეშივე თესლი გახრწნილებისა, რღვევისა და ანარქიისა, თესლი სახელმწიფოებრივი აღრევისა და უთავბოლობისა,—მოსპოს ისეთსავე ენერგიით, როგორც მოსპო მოძრაობა საქართველოს თავისუფლების წინააღმდეგ მომქმედი გლეხებისა.

სხვა გზა საქართველოს არა აქვს. ან ერთი უნდა იყოს ან მეორე, რაიცა დღევანდელს ისტორიულ პირობებში ასეც გამოითქმის: ან სიკვდილი ან სიცოცხლე.

—

რანაირი დასკვნა უნდა გამოვიყვანოთ ზემოდ თქმულიდან? რასაკვირველია არა ისეთი. თითქოს ბ-ნ ნოე ჟორდანიას არ შეეძლოს, ან არა ჰსურდეს საქართველოს სახელმწიფოებრივის შექმნა. მაგრამ, თუ მიუხედავად დიდი სურვილისა, საქმე მაინც არ უმჯობესდება, ეს იმ გარემოებას უნდა მიეწეროს, რომ ბ-ნი ნოე ჟორდანია ერთგვარ მაქსიმალისტობას იჩენს და ეპოქას ძალიან ბევრსა სთხოვს. ყველაფრის ერთბაშად განხორციელება შეუძლებელია. მილიცია კარგია, მაგრამ დღეს თუ მილიციის შემნას შევუდექით, არაფერი გამოვა იმიტომ, რომ ობიექტიური პირობები ამას ხელს არ უწყობს. ამიტომ ექსპერიმენტებს თავი უნდა დავანებოთ და პირდაპირ ჯარის ორგანიზაცია მოვაწყოთ, იგივე შეიძლება ითქვას ადმინისტრაციაზე და სხვა. არავითარი საჭიროება არ მოითხოვს განსაკუთრებულს რამ წესები შევქმნათ ჩვენი ქვეყნისთვის. სახელმწიფოებრივ ორგანიზაციას თავისი საკუთარი ლოღიკა აქვს. სახელმწიფოს ჯარიცა სჭირია, მილიციაც, საგანგებო რაზმიც. ადმინისტრაციაც და კარგი ციხეც, შინაარსიც შეიძლება შეუცვალოთ და ასეც შეიძლება რესპუბლიკანურ წესწყობილებაში ამნაირი ინსტიტუტებს შინაარსი არ შეეცვალოს. მაგრამ ამათ თვით ტიპი ორგანიზაციისა არ შეიცვლება

მორცხვობა აქ სრულიად უადგილოა. სახელმწიფოებს ამ მხრით დიდი გამოცდილება აქვთ და ამ გამოცდილებით ჩვენ უნდა ვისარგებლოთ ჩვენი მიზნების განსახორციელებლად და რესპუბლიკანური წესწყობილების განსამტკიცებლად.

**არ. ჯაჯანაშვილი.**

## ზოგი რამ

არც ერთი იმპერიალისტი რუსი რომელიც საქართველოში სცხოვრობს და მოსკოვის კვლავ გაბატონება სიზრმად ელანდება, ისე არ გაკადნიერებულა, როგორც ვინმე სელიხანოვიჩი. ამ ვაჟბატონმა დასჩრდილა ისტრებოვი და ძმანი მისნი. მისი ქადილია, რუსეთში ასი მილიონი ხალხია, რომლის მოსპობაც ადვილი როდია და ყოვლად შესაძლებელია ამიერკავკასია ისევ ხელთ ჩაუვარდეს და ქართველების მიერ გაძევებული გენერალი მოექცეს სათავეში იმ ჯარს, რომელიც ტფილისს დაიჭერს. მაშინ რაღას იზამთ, გვითვლის მუქარას წერილით, რომელიც „ედინენიეში“ დაუბეჭდია.

სელიხანოვიჩი ისევე, როგორც ზოგიერთი სხვა მისი თანამოაზრე რუსების არ იყვეს, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამსახურშია და ამშვენებს პირველი გიმნაზიის მასწავლებელთა კორპორაციას. რა ატმოსფერა უნდა შექმნას ხსენებულმა პედაგოგმა გიმნაზიის მაღალ კლასებში, სადაც თურმე ერთ ერთ საფილოსოფიო საგანს ასწავლის, ან საერთოდ იმ კორპორაციაში, რომლის წევრადაც ითვლება? სელიხანოვიჩის გამოსვლა „ედინენიეში“ ანტისახელმწიფოებრივია და მისთანა ვაჟბატონები არა თუ საქართველოს რესპუბლიკის სამსახურში, არამედ მის მიწა-წყალზედაც არ არიან დასაყენებელნი.

თავის წერილის შემდეგ სელიხანოვიჩი რა პირით შევიდოდა თავის კლასებში, რომ მოწაფეები იქ მხოლოდ ქართველები ყოფილიყვნენ. ეხლა კი პირველი და მეორე გიმნაზიის მაღალი კლასები მოწაფეთა შედგენილობით ეროვნულ დომხალს წარმოადგენენ და რუსული ორიენტაციის საქადაგებლად ნიადაგი უკვე მზად არის. თუ წერას არ ერიდებიან სელიხანოვიჩისთანა პედაგოგები ლაპარაკს, სად მოერიდებიან.

იმპერილისტი რუსის პედაგოგები არ აპირებენ, შეურიგდნენ ახალ გარემოებას, რომელიც შექმნა საქართველოს პოლიტიკური დამოუკიდებლობის გამოცხადებამ და შეწყნარებამ, და სცდილობენ რუსული სკოლა და კულტურა კვლავინდებურად უპირატესობით აღჭურვილნი ამყოფონ. რუსული გიმნაზიები, სადაც ისინი მოღვაწეობენ, მოწაფეებს ჰპირდებიან განცხადებით. რომელიც მრავალი იბეჭდება, ყოველგვარ სამსახურის უპირატესობას, უთუოდ რუსისას, რომელიც მათი ჰკუით ისევ უნდა შემოვიდეს საქართველოში, ხოლო ჩვენი სოციალისტური მთავრობის საუწყებლად დასძენენ, სღვთო სჯულიც ისწავლებაო. მაგრამ დღეს როცა ჩვენი ხალხის ბნელი მასსა მშობლური მთავრობის წინააღმდეგ ადვილად ასაჯანყებელი გამხდარა და ზოგიერთი მათგანი რუსთა ეროვნულ საბჭოში ეწერება რუსეთის ქვეშევრდომად, მისი ახალთაობის აღზრდის ბედი უნდა იყვეს მხოლოდ სახელმწიფოს ხელში და უცხოტომელს გუშინდელ ნაბატონარს, რომელიც ოცნებობს კვლავ ბატონად გადაქცევასა, ნებას არ უნდა აძლევდეს, რომ თავის სკოლის და კულტურის გავრცელება პოლიტიკურ პროპაგანდათ აქციონ. საქართველოს დემოკრატიას იმისთვის არ გამოუცხადებია თავისი ქვეყნის პოლიტიკური დამოუკიდებლობა, რომ თავისი შვილების ბედი კიდევ გადამთიელების ხელში ამყოფოს, ქართველი დემოკრატია უშუალოდ განაგებს თავისი რესპუბლიკის საქმეს და როგორ უნდა მოუაროს ქვეყანას, თუ ქართული სწავლა განათლებით არ იქნა აღჭურვილი, **რუსული სკოლა უნდა იყვეს მხოლოდ რუსთათვის.** რუსული ენის და რუსული კულტურის ბატონობის ბრალია დღევანდელი ჩვენი ხალხის გონებრივი განვითარების და კულტურის დაქვეითება და სახელმწიფოებრივი სიბრძნე მოითხოვს, რომ ქართული ენისა და ქართული კულტურის ბედი უზრუნველ იყვეს საქართველოს სახელმწიფოში. ეს საკითხი რომ დიდ მნიშვნელოვანი არ იყვეს ჩვენი დემოკრატიის ცხოვრების წალმა განვითარებისთვის, მაშინ მისი პარლამენტი, უდიდესი სახელმწიფოებრივი დაწესებულება, რომელიც მისი ნების ყოფის გამომხატველია, არ დაადგენდა, კანონმდებლობა და კამათი საქართველოს პარლამენტში ქართულად უნდა იყვესო.

სახალხო განათლების სამინისტროს ჰმართებს ყურადღება მიაქციოს რუსული სკოლის საკითხს საქართველოში. იმპერიალისტ და რუსიფიკატორ პედაგოგებს სწადიანთ არ მოიშალონ ძველებური ყოფა, რომელიც ნებას აძლევდა მათ, რომ ეროვნული დომხალი გაეჩინათ სკოლებში და ერთის მაგიერ ორი კურდღელი დაეჭირათ, ე. ი. სახრავიც ჰქონოდათ და არა რუსებიც ერუსებინათ. თუ ცნობას შეჰკრებს სამინისტრო, კერძო რუსულ სკოლებში მოწაფე რუსები რამდენ პროცენტს წამოადგენენ, დარწმუნდება რომ კერძო რუსული სკოლა უფრო არა რუსთათვის არსებობს, მაშასადამე აკეთებს იმას, რაც მისი საქმე არ არის. ყოველმა ეროვნულმა უმცირესობამ მხოლოდ თავისი შვილებისათვის იზრუნოს, მათ ეროვნულ განათლებას უნდა დასჯერდეს და არც ერთს მათგანს ნება არ უნდა მიეცეს თავისი კულტურის პოლიტიკურ პროპაგანდას ეწეოდეს.

იმპერიალისტმა რუსებმა ბრძოლა გაუმართეს არა თუ ქართულ სახელმწიფოებრიობას, არამედ ქართულ კულტურასაც. სასაცილოდ არ ეყო იმავ რუსულ გაზეთს **ედინენიეს**, როცა შეიტყო, ქართული საოპერო დასი არსდებაო. სად ქართველობა, სად ქართული ოპერაო! ამ ვაჟბატონებს ჰგონიათ, ნადირ ხალხის ქვეყანაში სცხოვრებენ, მოსულან მის გასანათლებლად და თუ არ მათი ენით, სხვათა ენით არ შეიძლება ოპერის წარმოდგენა.

თუ სახალხო განათლების სამინისტრო, რომელიც წაღმა-უკუღმა არიგებს ნებართვას რუსული გიმნაზიების გასახსნელად, ანგარიშს არ გაუწევს იმას, თუ რა ხიფათს უმზადებენ რუსული კულტურის პროპაგანდისტები ჩვენი დემოკრატიის მოზარდ თაობას, მაშინ საჭიროა, თვით შინაგან საქმეთა მინისტრი ჩაერიოს საქმეში, რომ ასეთ ძალად მაცხონებ პედაგოგებს ხელი აალებინონ ჩვენი დემოკრატიის ახალ თაობის „განათლებაზე“, რადგანაც მისთვის უპირველეს ყოვლისა მიუცილებელია გონების განვითარება დედა-ენითა, ხოლო რუსულ და სხვა უცხო ენებს, როგორც კერძო საგნებს, ისწავლიან საჭიროების და გვარად.

**პეტრე მირიანიშვილი.**

---

# ქართული კლუბი

(საზაფხულო შენობა)

შაბათს, 1918 წ. ოქტომბრის 12-ს ქართველ მსახიობთა მიერ
წარმოდგენილი იქნება

1

## საგანგებო მიცვალებული

კომედია 2 მოქმ.

2.

## ბრილიანტების ქურდი

ვოდ. 1 მოქმ.

დასაწყისი საღამოს 9 საათზე. **წარმოდგენა უფასოა.**

სტუმრები იხდიან კლუბში შესასვლელ ფასს: მანდილოსნები და სტუდენტები—3 მ., მამაკაცები—5 მან.

---

## თეატრი და ცხოვრება

დრამა „ტარტო“

დღეს პირველად მიდის სჩეპკინ-კუპერნიკისა „ორლიონოკი“, უმთავრეს როლს შეასრულებს ბ-ნი კოშევსკი.

**სამხატვრო თეატრი.**

ამ მოკლე ხანში გაიხსნება სამხატვრო თეატრი ბ-ნ ერიციანისა. მოწვეულნი არიან საუკეთესო ძალები. მთავარ რეჟისორად მოწვეულია მოსკოვის თეატრის მსახიობი ბ-ნი ფ. ვ. რადოლინი.

**სახელმწიფო თეატრი.**

დღეს მესამედ მიდის „პიკოვაია დამა“.

## ჩვენი სახალხო მეურნეობა ზავის მოლოდინში

ჩვენი ქვეყნის ეკონომიური და ფინანსიური ცხოვრება დღითი დღე რთულდება. ამის მიზეზი ჩვენი შინაური ცხოვრების ფარგლებში არაა, არამედ საერთაშორისო მწვავე მდგომარეობითაა გამოწვეული და ჩვენც ამ მხრივ უძლურნი ვართ. უმთავრესი მიზეზი ამ ეკონომიური ანარქიისა ომია. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ ეხლა არ ვართ მეომართა კოალიციაში, ომმა ჩვენს ეკონომიასა და ფინანსებზე მაინც იქონია გავლენა. ჯერ ერთი, როგორც წინათ მეომარ კუთხეზე და მეორე ევროპის ომის გამო, როგორც საერთაშორისო ბაზარს და ეკონომიურ ცხოვრებას მოწყვეტილ ქვეყანაზე.

დღესაც ძნელი სათქმელია, თუ როდის დამთავრდება ევროპის დიდი ომი და როდის შევსძლებთ ჩავებათ საერთაშორისო საეკონომიო და საფინანსო ფერხულში და ამით ნორმალური პულსაცია დავაწყობინოთ ჩვენს ეკონომიურ ცხოვრებას. ტყუილი გამოდგა ომით, ერთმანეთის განადგურებით, ზავის მოპოება. გაცრუვდა ყოველივე იმედები ომის დასაწყისში ნაწინასწარმეტყველი ომის მალე გათავებისა. ამიტომ ჩვენც სავსებით და ამოწურვით ვერას ვიტყვით ჩვენს ეკონომიურ და ფინანსიურ ცხოვრებაზე. მაგრამ ის ფაქტები და ის ცხოვრება, რომელიც ჩვენ ამ 3—4 წლის ომმა მოგვცა, გვაძლევენ საშუალებას ნაწილი მაინც დავსახოთ იმისა, რომელიც ჩვენ ომის შემდეგ გვეხატება.

ომის გათავების შემდეგაც ჩვენ სრული დამოკიდებული უნდა ვიყოთ ჩვენი სახალხო მეურნეობისათვის საჭირო საფაბრიკო, სამანუფაქტურო და სხვა წარმოებათა ნივთების მხრივ, იმ საერთო მდგომარეობაზე, რომელიც დამყარდება ევროპაში. ჩვენ არ გვაქვს ჩვენი ეკონომიური წყაროები, რომელმაც უნდა მისცეს ხასიათი ჩვენს სახალხო მეურნეობას და ეს თუ ის დახასიათებელი და დამოუკიდებელი გზა უკარნახოს; ჩვენ არ გვაქვს საკუთარი ფაბრიკა-ზავოდები, ქარხნები, რომ ჩვენმა სახალხო მეურნეობამ მასთან ძაფი გააბას. ჩვენ არ გვაქვს არც ერთი წარმოების დარგი, რაც უნდა წვრილმანი იყოს ის. ამ მხრივ ჩვენი სახალხო მეურნეობა დამოკიდებული იქნება იმ ეკონომიურ და ფინანსიურ კონიუნქტურაზე, რომელიც ევროპაში დამყარდება. ევროპა გვიკარნახებს ჩვენ ჩვენივე ნედლი (ხე, მარგანეცი, ხილი და სხვა) მასალების ბაზარში გატანას. ამიტომ როცა ჩვენი ხალხის ეკონომიკაზე ვლაპარაკობთ, უმთავრესად ის უნდა გავითვალისწინოთ, თუ რა მოხდება ევროპაში.

ჩვენ ვიცით, რომ 4 წლის ომმა ჩანთქა ის, რაც იყო გამზადებული. ყოველივე

ზედმეტი ამოსწურა, ერთი ღილიც კი არ დასტოვა ზედმეტად. ჩაინთქა ხალხის მიერ განმზადებული ღირებულებანი, დაინგრა წლობით ნაშენი კაპიტალი. ამასთან ერთად მაწარმოებელი ძალაც შემცირდა ომით გამოწვეულ განადგურებით და ამით საერთაშორისო მწარმოებელ ენერგიას ბევრი დააკლდა. შემცირდა სასოფლო მეურნეობისათვის საჭირო ცოცხალი და უსულო ინვენტარი, მათი ომის საჭიროებისათვის მობილიზაციის გამო. მანქანები და იარაღები სოფლის მეურნეობაში 4 წლიწადია ურემონტოდ მუშაობს და ამასთან არავითარ გაუმჯობესობას ზრდას არ განიცდიან. ამიტომ, როცა ომი გათავდება და მრავალი მილიონი—ხალხი დაუბრუნდება მშვიდობიან ცხოვრებას თვით ევროპაში დიდი მოთხოვნა იქნება მოდუნებულ ყოველგვარ სახალხო მეურნეობის აღდგენისა. ჩვენი სახალხო მეურნეობა კი უფრო სასტიკად თხოულობდეს იქნება დაკმაყოფილებას მისი არსებობისათვის საჭირო ნივთებით რადგან ჩვენ არა მარტო აღსადგომად, არამედ უმთავრესად ახლად საშენებლად მოგვიხდება მუშაობა სახალხო მეურნეობის ცხოვრების სფეროში. ამასთან ერთად ჩვენს ფინანსებს განსაკუთრებული თვისება ექმნება, რადგან ჩვენი ფინანსები ომის რგოლში მომწყვდეულ ანარქიული რუსეთის აწეწილი ფინანსების ნაგლეჯია. ხოლო ამ ფინანსების თვისება კი ყოვლად აუტანელია ჩვენს ეკონომიურ ცხოვრებისათვის უმთავრესი უბედურება კი ის არის, რომ ხალხის მუშტრული სიძლიერე გადიდდა ომის საჭიროებისათვის მრავალი ქაღალდის ფულის გამოშვებით და მათი ხალხის ხელში დაქუჩებით. რუსის მთავრობამ ვერ შესძლო ამ ფულის გამოყენება და ჩვენს ხალხსაც ბევრი ფული შერჩა ხელში. 4/5 (დაახლოვებით ანგარიშით) ჩვენი ხალხის ხელში—ეს არის თავისუფალი ფული, რომელიც ზედმეტად უმატებს მუშტრულ ძალას ჩვენს ხალხს. ამასთან ერთად ჩვენი ხალხი არის მუშტარი უცხო ბაზრისა და ისიც ომით გაკოტრებული ევროპის ღარიბი ბაზრისა. რა თქმა უნდა, ასეთი მდგომარეობის გამო და ომის გათავების და საერთაშორისო ტრანსპორტის და ბაზრის აღდგენით საქონლის ფასი საზღაპროდ აიწევს, გაცილებით ბევრად, ვიდრე ეხლა არის, ამასთან ერთად ენით გამოუთქმელად გამოცოცხლდება ვაჭრობის საქმე და გაიზრდება სპეკულიაცია, მაგრამ ეს ვერ გასტანს ბევრხანს რადგან ომის გათავებას მრეწველობის კრიზისი და მრეწველობის შეყენება მოჰყვება და ამით ვაჭრობა და აღებ-მიცემობაც მოდუნდება. მაგრამ ჩვენ კიდევ სხვა უბედურება მოგველის.

ევროპა დაიწყებს წარმოებას შემცირებულის ენერგიით, კაპიტალით და ომამდის განმტკიცებული ფასებით, ხოლო ჩვენ კი დაუწყებთ გასაღებას ამ ნაწარმოებთ ჩვენი დაცემულის ფულის კურსით. ამასთან ერთად ცუდ პირობებში ჩავარდება ჩვენი სავაჭრო ბალანსი, რადგან ფულით მაძღარი ჩვენი ხალხი თავის ნედლ მასალას და სოფლის მეურნეობის ნარეწავს გასაღებას ბევრად არ გამოუდგება. უმთავრესი მკვებავი ჩვენი სავაჭრო ბალანსისა კი ეგ ნივთებია. უცხოეთიდან საქონლის შემოზიდვას ჩვენ ვერ შევამცირებთ, რადგან ეს ჩვენს სახალხო მეურნეობას ცუდს დაღს დაასვამს, ვერც გავზიდავთ ბევრს, როგორც ზემოთ ვსთქვი, მიუხედავად იმისა რომ საერთაშორისო ბაზარზე ჩვენს გასაზიდ ნედლს მასალას დიდი ფასი ექმნება, რადგან ხალხის ხელში დაგროვებული თავისუფალი ფულის სიმრავლე ერთის მხრივ საქონლის შემოზიდვას შეუწყობს ხელს და მეორეს მხრივ გაზიდვას შეაჩერებს, შეაფერხებს. ამ უკუღმართ პირობებში მოგვიხდება ჩვენი სავაჭრო ბალანსის წარმოება, ამ კრიზისს ჩვენ უნდა მოველოდეთ თუ დღესვე არ მივიღეთ ზომები ამ დაქანებული ფიცრის გასასწორებლად. გზა კი ერთად ერთია: ზედმეტ ფულების ჩვენი ხალხის ხელიდან, ჩვენი ბაზრიდან ამოგლეჯა თუნდ დევალვაციის სახით. თუ ეს არ მოხდა ჩვენი ფულის კურსი დღითი დღე დაეცემა და ეს თავისთავად საზღაპროდ ასწევს ყველა ნივთების ფასებს.

ზედმეტ ხალხის მუშტრული ენერგიის მოსპობა—აი რა არის თავდები ჩვენი ეკონომიური ცხოვრების სალი განვითარებისა. რა თქმა უნდა, ამასთან ერთად ჩვენი ფინანსიური სისტემაც უნდა შევიმუშაოთ. რაც მალე ჩამოვართმევთ ჩვენს ხალხს მის თავისუფალ ფულს მით უფრო მალე მოვაგვარებთ ჩვენს ეკონომიურ ცხოვრებას და გადავარჩენთ ჩვენს ქვეყანას კატასტროფისაგან.

ჯვ. იოსელიანი.

## შაქრის წარმოების საკითხი ჩვენში.

რამდენიმე დღის წინად გაზეთებში ცნობა იყო მოთავსებული, რომ მიწათმოქმედების სამინისტრო მთავრობაში წინადადებით შევიდა რათა „შაქრის" საზოგადოებას ბორჩალოს მაზრაში 5000 დესეტინა მიწა მიეცეს ჭარხლის მოსაყვანად და შაქრის ქარხნის ასაშენებლად ალბად, ამ ცოტა ხანში მთავრობა ამის შესახებ მსჯელობას იქონიებს და ამა თუ იმ დადგენილებას გამოიტანს ამისათვის მე მსურს მის საყურადღებოდ გამოვთქვა ჩემი მოსაზრებანი აღძრულ საკითხის შესახებ.

ჩვენ ვიცით, რომ ჭარხლის შაქრის წარმოება თხოულობს დიდძალ მიწას ჭარხლის საკმაო რაოდენობის მისაღებად. სწორედ ამიტომ არის, რომ ეს წარმოება უაღრესად განვითარებულია ისეთ ქვეყნებში, სადაც მიწის სივიწროვეს სრულიად ადგილი არ აქვს; ყველაფრად ჩამორჩენილ რუსეთში შაქრის წარმოება აგრე განვითარებული არ იქმნებოდა, რომ მიწის სიუხვე არ ყოფილიყო. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ რუსეთის შაქრით, როგორც ვიცით საზღვარ-გარედ ღორებს ასუქებდნენ ხოლმე. ამით მინდა ის ვსთქვა, რომ საქართველოს, რომელიც საოცარ მიწის სივიწროვეს განიცდის, ნორმალურ პირობებში, თუნდაც დამოუკიდებელ სახელმწიფოდ მყოფს,—სრულიად არ მოუხდებოდა ამ წარმოებაზე ფიქრი, ვინაიდან ამ პროდუქტით მას სავსებით უზრუნველყოფდა რუსეთი ანუ ავსტრია ჰუნგრეთი. მაგრამ განსაკუთრებული მდგომარეოა თხოულობს განსაკუთრებულ და სასწრაფო ღონისძიებებს. საჩქარო ნაბიჯებს, ამ შემთხვევაში, სამწუხაროდ ადგილი არ ექმნება. საქმე იმაშია, რომ შაქრის ქარხნის მოწყობა საკმაოდ რთულ და სერიოზულ საქმეს წარმოადგენს, თხოულობს დიდ ხარჯებს და დროს, და საზოგადოდ მისი აშენება და ამოძრავება ძნელ პრობლემად უნდა ჩაითვალოს, ყოველ შემთხვევაში ტყავის, საპნის, წუმწუმის, სანთლის, შაბის და სხვა წარმოებათა შექმნა ჩვენში გაცილებით უფრო ადვილი საქმეა. გარდა ამისა ჭარხლის მიღება შეიძლება მხოლოდ დაახლოვებით ერთი წლის შემდეგ ე. ი. შაქრის ქარხნის ამუშავება მხოლოდ ერთი წლის შემდეგ არის მოსალოდნელი. ასე რომ მწვავე ტკივილების მოშუშება, ასე ვსთქვათ დღევანდელ ჩვენს კრიტიკულ მდგომარეობისთვის მალამოს დადება, თანამედროვე მძიმე პირობების ოდნავადათ შემსუბუქება—მას არ შეუძლია 5000 დეს. კი, რომელიც გამოთხოვილია ამ საქმის მოსაწყობად, ჩვენთვის დიდ მიწის თანხას წარმოადგენს და ამოდენა ადგილის მოკლება ისედაც მცირე ავლა-დიდებისათვის ერთობ საგრძნობი უნდა იქმნეს. მაგრამ თუ ცხოვრების სინამდვილემ და დღევანდელ გაჭირვებამ აშკარად წამოაყენა საკითხი ჩვენში საჩქაროდ შაქრის წარმოების შექმნის შესახებ, მაშინ უნდა ვიფიქროთ და ვიზრუნოთ არა ჭარხლის შაქარზე, არამედ ნეკერჩხლისაზე, რომელსაც აუცილებლად უპირატესობა უნდა მივაკუთვნოთ და აი რა მოსაზრებებით:

ა) ნეკერჩხლის შაქარი როგორც ქიმიური შემადგენლობით, ისე გემოთი ჭარხლის შაქრისაგან თითქმის არ გაირჩევა; კიდევ მეტი, პირველი იმდენად სასიამოვნო სურნელოვანია, რომ მეორეზე მაღლაც კი უნდა დავაყენოთ.

ბ) ნეკერჩხალი ჩვენში ბლომად მოიპოვება; იქა-აქ მისი მოშენებაც რომ განვიზრახოთ, ეს სულ ადვილი საქმეა და არ არის საჭირო რომ ისინი ყოველ წლივ მოვაშენოთ, ძველი ახლით შევცვალოთ, ვინაიდან დამტკიცებულია, რომ თუ ნეკერჩხლისაგან წვენის გამოღება ხდება მიზანშეწონილად და ფრთხილად, ხე არ ზიანდება. ამერიკის პრაქტიკა გვასწავლის, რომ იქ ნეკერჩხლით ას წელზე მეტს სარგებლობენ ეს აიხსნება მით, რომ გამოღებული წვენის რაოდენობა ხის მასაზრდოებელ ნივთიერებათა საერთო ჯამის პატარა ნაწილს შეადგენს (დაახლოვებით—1/60).

გ) ნეკერჩხლის შაქრის წარმოება არ თხოულობს იმდენ ხარჯებს და დროს, აგრეთვე ისეთ რთულ ორგანიზაციას, როგორც ჭარხლის ანუ შაქრის ლერწამის კულტურა; ნეკერჩხლის მოვლა გამოიხატება მხოლოდ განახლებისათვის ხელის შესაწყობ უბრალო ზომებში; თვით წვენის გამოღება რამდენად უბრალოა და ადვილი პირველ შემთხვევაში, იმდენად რთული და ძნელია მეორეში.

დ) ნეკერჩხლის წვენის მოკრეფა ხდება მოკლე ვადაში, სულ 1—$1^1/_2$ თვის განმავლობაში და ისეთ დროს, როდესაც სასოფლო მუშაობა თითქმის სრულიად არ არის.

ე) შაქრის წვენიდან ნეკერჩხლის შაქრის მიღება არ თხოულობს რთულ და ძვირფას ხელსაწყობებს და აპარატებს, როგორც მაგალითად, ვააკუმებს, ვინაიდან უბრალო, მხოლოდ სიფრთხილით გატარებულ აორთქლივით და წვენის შესქელებით შეიძლება მივიღოთ შაქარი და ვაჟინი საკმაოდ მაღალი ღირსებისა.

ვ) ნეკერჩხლის შაქრის წარმოებას, მისი ფაბრიკაციის ბუნებით, შეუძლია გახდეს საწვრილმანო მრეწველობის საგნად, სასოფლო-მეურნეობის ერთ უბრალო, მაგრამ მნიშვნელოვან დარგად; ჭარხლის შაქრის წარმოება კი უნდა შეიქმნეს აუცილებლად საქარხნო მრეწველობის მასშტაბით.

ზ) ნეკერჩხლის შაქრის წარმოებას რომ შეუდგეთ, შეგვიძლიან შაქარი და ვაჟინი მივიღოთ რამდენიმე თვის შემდეგ მაშინ, როდესაც ჭარხლის შაქრის მისაღებად ლოდინი დაგვჭირდება ერთ წელზე მეტი.

თ) ნეკერჩხლის შაქრის წარმოება არ დაიჭერს დიდძალ ადგილს, რასაც ჩვენში მიწის სივიწროვის გამო ერთობ დიდი მნიშვნელობა აქვს და სხვა. ერთი სიტყვით, ნეკერჩხლის შაქრის წარმოებას ჩვენში შეუძლია დიდი მნიშვნელობა მოიპოვოს; მას აშკარა უპირატესობა უნდა მივსცეთ ჭარხლის შაქართან და დიდის ყურადღებით და ინტერესით მოვეპყრათ.

ამერიკელები ნეკერჩხლის შაქრის წარმოებას ძალიან დიდ ყურადღებას აქცევენ, ცდილობენ როგორმე განავითარონ, გაარღმავონ და გააფართოვონ ეს საქმე და უნდა ითქვას, რომ ეხლანდელ დროში ამერიკანელი ნეკერჩხლის შაქარი და შაქრის ვაჟინი ევროპაში და სხვა ქვეყნებში უკვე ექსპორტის საგანს წარმოადგენს. აღსანიშნავია ისიც, რომ ამერიკაში საზოგადოებაც ერთობ დაინტერესებულია ამ საკითხით; ახალი ვაჟინი, როგორც ნაყოფი სანეკერჩხლო რთველისა შეადგენს სხვა და სხვა საოჯახო და საზოგადო გასართობების გასამართავად; მდაბიო ხალხში დიდი ხნიდან შემოღებულია ნეკერჩხლის შაქრის საპატიოდ დღესასწაული—„შაქრის დღესასწაული"..

ასე რომ ამ წარმოების განხილვის დროს მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ გზა ასე თუ ისე გაკვალულია და ჩვენ უნდა გავყვეთ უკვე ნაცად გზას.

ვეებერთელა მინდორ-ველებიანი რუსეთის წაბაძვა კი ამ შემთხვევაში არ გამოგვადგება და ამერიკის მაგალითით უნდა ვისარგებლოთ.

ინჟ. ვ. კაკაბაძე.

## წერილი რედაქციის მიმართ

ამხ. რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ ნება მიბოძოთ თქვენს პატივც. გაზ. „სახალხო საქმის" საშუალებით უღრმესი და უგულითადესი მადლობა გამოუცხადო ახალ-სენაკის ჟურნალ-გაზეთების კიოსკის გამგე-ამხანაგ დიმიტრი ესებუას, რომელმაც კეთილ ინება და გადმომცა მრავალი ძვირფასი პოლიტიკური წიგნები, ჟურნალები და სხ. მთელი ხუთი თვის განმავლობაში ძლიერ შეღავათიან ფასებში „სახალხო საქმეს". „ერთობას" და სხვა ქართულ-რუსულ გაზეთებს სოფელში მიგზავნიდა (რაც ჩემთვის, გლეხებში მომუშავე პროპაგანდისტისათვის, აუცილებელ საჭიროებას შეადგენდა), და ამით ხელი შემიწყო. მადლობას ვუძღვნი და, ვინაიდან „აწმყო მღალატობს", ვეცდები მომავალში სამაგიერო სიკეთით გადაუხადო...

გ. ხოფერია-მუშიშვილი.

* * *

ბატონო რედაქტორო! ნება მომეცით თქვენი პატივცემული გაზეთის საშუალებით უღრმესი მადლობა გამოუცხადო სოფ. ვეჯინში (სიღ. მაზ.) საქველ-მოქმედო მიზნით მიმდინარე წლის სექტემბრის 7-ს (ახ სტ.) ადგილობრივ სოფლის საზოგადო სასწავლებლის შენობაში წარმოდგენის გამართვაში მონაწილეობის მიღებისათვის: ბ. ბ. ბესარიონს, დიმიტრის, ქ.ქ. მარიამს, თამარს (კონსტანტინეს ასულს) **ფურცელაძეებს**, ვერა **ბახტაძეს**, თამარ **სხირტლაძეს**, სოფიო **მჭედლიძეს** და ნინო **თურქაძეს**—ხელის შეწყობისათვის ამ საქმეში—ბ. რომან **ნახიძეს** და ყველა იმ პირთ, რომელთაც არ დაზოგეს თავიანთი შრომა წარმოდგენის სასურველად მოწყობაში. წარმოდგენის მთელი შემოსავალი იყო 333 მან. ამ თანხიდან გაწეული იქმნა ხარჯი წარმოდგენის მოწყობაში—127 მან. 25 კაპ. დანარჩენ წმინდა შემოსავლიდან ე. ი. 205 მან. 75 კაპ. ადგილობრივ სოფლის საზოგადო სასწავლებლის შენობის შესაკეთებლად გადაიდო—100 მან. მხოლოდ დანარჩენი ფული—105 მან. 75 კაპ. გადადებული იქმნა ამავე სოფლის სახალხო სცენის საჭირო მასალების შესაძენად.

წარმოდგენის გამგე **სტ. ფურცელაძე.**

გამომცემელი
სამსონ ფირცხალავა.
რწმუნებული მთავარ კომიტეტისა.

**ექიმი კბილისა კონსტანტინე არდაზიანი** განაახლა ავადმყოფების მიღება 11—2 საათამდის. მელიქოვის ქუჩა № 11 ექიმი არდაზიანის ბინა. 1219

**ექიმი მ. ნ. ვეფხვაძე** ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკაში ორდინატორად ნამყოფი იღებს ავადმყოფებს კანისა და ვენერიული სნეულობით. 3 საათიდან ნაშუადღევის $5^1/_2$ საათამდე. ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ, რუ. ზიუზდის ქ. № 19. 992

**ექიმი ქ. ხონი სპირიდონ დიმიტრის ძე ჯალაღანია.** იღებს ავად. დილის 9—12 საათამდე. მისამართი: მათხოჯის ქ. საკუთარი სახლი. 2090

**ექიმი მრევლიშვილი** მასწავლებლად ნამყოფი კიევის ქალაქის საბებიო სასწავლებელში და ინტერნად კიევის ქალაქის საავადმყოფოს მიიღებს საბებიო საშვილოსნო ავადმყოფ 4—6 საათზე კვირის გარდა ნიკოლოზის ქუჩა № 22 ვორონცოვის ძეგლის ახლო. 2108

**ექიმი დ. ა. ხარაძიძე** იღებს ყოველ დღე შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ, საღამოს 6—8 საათამდე. კვირაობით დილის 9—12 ს ჩერქეზიშვილის ქუჩა № 87. აგჭალის აუდიტორიის ახლო. 2105

**ექიმი მ. მუსხელიშვილი** იღებს ავადმყოფთ დილის 12—2 საათ. ყორღანოვის ქ. № 6.

**ექიმი შ. ა. მიქელაძე** მიიღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 6—7 საათამდე, მიხეილის პროსპექტი № 118.

**ექიმი ნ. ი. მახვილაძე** იღებს სპეციალურად მალარიით (ციება) და მისი შედეგებით დასნეულებულთ, სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა, ქარებით და სხვ. შინაგან სნეულებით ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5—7 ს. ელექტრიზაცია და მასსაჟი. მისამართი მოსკოვის ქ. № 11. 1128

**ბერლინის უნივერსიტეტის მედიცინის დოქტორი ბ. ბ. მეჯრაბიანცი** ჩამოვიდა და განაახლა. შინაგან ავადმყოფობა—ჭლექი და გულისა. ახალ რენტგენ-ელექტრ-კაბინეტში. გამოკვლევა და წამლობა X სხივებით, თავის დღში ვენის ტიპისა, დიდი სოლოხოიდი, განსაკუთრებული ნაკადები დ'არსენვალისა ფილტვების სნეულებისათვის, გულის ავადმყოფობისა, ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილის 9—1 ს.-დე და საღამოს 6—8 ს., ბებუთოვის ქ., № 28, ტელ. № 7—92. 1340

**ექიმ ა. მ. ლევინშტეინის კაბინეტები** წამლობა **რენტგენის სხივები** და **ელექტრონით.** მიიღება ავადმყოფები შინაგან, ნერვიულ და ქალთა სნეულობით. რენტგენის სხივებით და ელექტრონით წამლობა წინასწარი ჩაწერით. სპეციალურად გულის, ფილტვების, კუჭის და ქაჯების ავადმყოფობა. ავადმყ. მიიღ. 4—8 საათამდე გარდა კვირა დღეებისა. კრილოვის ქ. № 5, ბინა № 3. ტელ. 12—46. ავადმყოფს თარჯიმანი უნდა ახლდეს თან. 991

**ექიმი ქალი რ. ბ. შიშლო-სახაშვილი** მედიცინის **დოქტორი** ჟენევის უნივერსიტეტისა და ედინბურგის მედიკურ-ქირურგიულ კოლლეჯისა. იღებს ყოველ დღე **შინაგან, ქალურ და ვენერიულ ავადმყოფთ და იძლევა ბებიობის დარიგებას.** სიფილისის წამლობა ახალი მეთოდებით დილის 10—12 ს. და საღამოს 6—7 ნახ. საათამდე. სერგიევის ქუჩა (სოლოლაკი) სახლი № 9. ერევნის მოედნის ახლო ტელ. 9—26. 5087

**ექიმმა დიასამიძემ** განაახლა ავადმყ. მიღება ნაშუადღ. 1—2 სათ. 5—6 კვირის გარდა. ოლღის ქუჩა 15 ტელ 18—03. 2010

**ექიმი ნ. ლ. ტურიაშვილი** (მედიცინის დოქტორი მოსკოვის უნივერსიტეტისა) ღებულობს ავადმყოფებს ყოველ დღე შუადღის 12—2 და საღ. 4—5 საათამდე. შინაგანი, ბავშვებისა, საბებიო და საშვილოსნოს სნეულებანი. ნიკოლოზის ქუჩა № 7. სიმხოვიჩის აფთიაქის გვერდით. 903

**ექიმი პავლე არდაზიანი** შინაგანი და ბავშვების ავადმყოფების მიღება ყოველდღე 11—2 ს. დილით და 5—7 ს. საღამოთი.
მელიქოვის ქ. № 12. 1060

**ექიმი ჩუღუკიძე.** განაახლა ავადმყოფების მიღება შინაგან და ქირურგიულ ავადმყოფების მიღება: დილის 10-დან 11 საათამდე და საღამოს 5-დან—6-დე. ბორჯომის ქ. № 3, ტელ. 11—35. 2001

**ექიმი ი. ი. ხერიშვილი.** მიიღება ვენერიული საშარდე ორგანოების, სიფილისის (შეშხაპუნება 606—914) და კანის ავადმყოფობისა. დილით 9—12 ს. და საღამოთი 5—8 ს. ქალების მიღება 12—1 ს. კვირაობით მხოლოდ დიდ მიხაილოვის შესახვევი სასტუმრო „ნოეს" პირდაპირ № 34. 301

**ექიმი ი. ქ. აბაკელია** შინაგანი ავადმყოფობა, განსაკუთრებით ავადმყოფობანი გულმკერდისა: ფილტვებისა, სასუნთქისა ფილტვების აპკისა, გულისა და ჯირკვლებისა. ამოცნობა (დიაგნოზი) და წამლობა ყოველი გვარი ჭლექისა, სისხლნაკლულობისა და მალარიისა. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა საღამოს $4^1/_2$—6 საათამდე. პეტრე დიდის ქ. № 26. ტელ. 5—86. 1270

**თვალის სამკურნალო მუდმივი საწოლით ექიმ დონხინისა**
რომელიც დიდი ხნის განმავლობაში ასისტენტად იყო ვენასა და პარიზში თვალის კლინიკებში. თვალით ავადმყოფნი მიიღებიან დილის 9—1 საათამდე და საღამოს 4—7 ს. მიხეილის პროსპ. № 141 (აპოლოს კინო-თეატრის მახლობლად). მძიმე და საოპერაციო ავადმყოფები სრული პანსიონითაც მიიღებიან. 620

**ექიმ ნავასარდიანის [illegible] კერძო სამკურნალო.**
(დაარსებულია 1880 წელს)
ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ ყოველ დღე (გარდა კვირისა) დილით:
„606" და „914" 11—12 ს.
ბ. ა. ნავასარდიანი—11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილის. ავადმყ.)
ე. ი. მაშნერი: 9—10 ს. ქალებისა და საშარდისა.
ბ. მ. აგახაროვი: 10—12 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.
აველტისიანი—კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს 12—1 ს.
დ. ი. ჯაფარიძე: 10—11 ს. ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებანი.
მ. მ. ბენიამოვიჩი: 10—12 ს. ყურისა, ყელისა და ცხვირის სნეულებანი.
ბ. გ. აველტისიანი—9—11 საკუთრი ბავშვთა ავადმყ.
ი. ი. ტერ-გრიგორიანცი, 1—2 ს. შინაგანი.
საღამოთი:
ბ. გ. ავეტისიანი: 11—12 ს. სპეციალური ბავშვთა სნეულებანი.
ა. ნ. ისაკიანი: 6—7 ს. ქალური-ავადმყოფობანი და ქირურგიული:
რჩევა-დარიგება 1 მან. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.
სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი ა. ნავასარდიანი.

**კერძო სამკურნალო**
ექ. ალექსიძის
მომსვლელ ავადმყოფთათვის
სპეციალისტ ექიმებისა
ავადმყოფების მიღება ყოველ დღე
ა. დ. ალექსიძე შინაგანი და ქალთა სნეულებანი 11—1 ს. და საღ. 5—6 ს.
ნ. ტ. ანდრონიკაშვილი კანის და ვენერიული ავადმყ. 8—9 ს. და 6—7 ს.
გ. შ. რეკვავა შინაგანი და ნერვების ავადმყოფობანი 9—11 ს. და 4—5 ს.
ხმ. გ. ჯაფარიძე—საბავშო ავადმყოფობისა, 1—3 საათამდე.
სამკურნალოსთან არის ლაბორატორია, სადაც შეიძლება ყოველგვარი ანალიზის მოხდენა. გამგე ლაბორატორიისა ექ. მ. მ. ტყემალაძე.
მისამართი: ერეკლეს ქ. № 6 ეგზარხოსის მოედანთან.
სამკურნალოში ყოველთვის იმყოფება მორიგი ექიმი. 2019

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი
„სახალხო საქმე"
ღირს: თვით 10 მან., ნომერი ღირს პროვინციასა და ტფილისში 50 კაპ., რკინის გზის სადგურებზე 60 კ., განცხადება: ჩვეულებრივი სტრიქონი პეტიტით პირველ გვ. 60 კაპ., უკანასკნელ გვ. 40 კაპ. სამგლოვიარო განცხადება 15 მან. ხელის მოწერა და განცხადება მიიღება რედაქციის კანტორაში ყოველ დღე დილის 9—3 საათამდე, სასახლის ქუჩა, № 6, ფოსტის ყუთი 190, ტელეფონი 12—29.

ტფილისი, სტამბა „სახალხო საქმე" ბარონის ქუჩა